# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 14 ივლისი 2007 №160 (3083) ფასი 50 თეთრი


## დღეს ფეხბურთელი ქეცბაია მოედანზე ერთხელაც გავა და იტყვის: მე წავედი!

# გმადლობთ, თემურ!

სოხუმის „დინამო“ (1986), თბილისის „დინამო“ (1987-92), კვიპროსული „ანართოსისი“ (1992-94), ბერძნული აეკ-ი (1994-97), ინგლისური „ნიუკასლი“ (1997-2000), „ვულვერჰემპტონი“ (2000-01), შოტლანდიური „დანდი“ (2001-02), ისევ „ანართოსისი“ (2002 წლიდან დღემდე), საქართველოს ეროვნული ნაკრები (1997-2002) — ეს ის გუნდებია, სადაც თემურ ქეცბაიას უთამაშია და, აბა, ვინ იტყვის, რომელიმე უსახელოდ დატოვაო.

თემურ ქეცბაია ყველგან ლიდერი იყო, ყველგან ჟინით თამაშობდა, ყველგან უყვარდათ და აფასებდნენ მის შრომისუნარიანობას, უბრალოდ, ის ყველგან „ქეცბა“ იყო...

დღეს თემური 39 წლისაა, ფამაგუსტის „ანართოსისს“ წვრთნის და... როგორც ფეხბურთელი, ფეხბურთს ეთხოვება...

დღეს ფამაგუსტაში გამორჩეული დღეა — თემურ ქეცბაია ერთხელაც გავა მოედანზე, თავის მეგობრებთან ერთად ბურთს გააგორებს და ქომაგებს ასე დაემშვიდობება...

გმადლობთ, თემურ!


აეკ: 84 მატჩი, 23 გოლი


ნიუკასლი: 78 მატჩი, 8 გოლი


ვულვერჰემპტონი: 24 მატჩი, 3 გოლი


საქართველოს ნაკრები: 50 მატჩი, 16 გოლი


დანდი: 22 მატჩი, 6 გოლი


ანართოსისი: 136 მატჩი, 60 გოლი

ბადრი კეთილაძის ფოტო




## ეროვნული სტადიონი უეფას თასის ფინალის მასპინძლობის კანდიდატია!

## ჭიდაობის ქარიშხალი

### თბილისმა მისამართი შეიცვალა

დღეს-ხვალ თბილისის „ქარიშხალას“ დარბაზი მოჭიდავეებისაა. ჭიდაობის ქართველი ლეგენდების, გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს წლეულს ტრადიციული მასპინძელი სპორტის სასახლე სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო ვერ იღებს. მომავალი წლიდან ყველაფერი ძველებურად იქნება და ერთ დროს მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად მიჩნეული ტურნირი ისევ ძველ სახელის დაბრუნებას შეეცდება. თუმცა მიუხედავად მოკრძალებული დარბაზისა, „ქარიშხალაშიც“ გვარიანი ჭიდაობებია მოსალოდნელი — ხალიჩაზე ხომ საქართველოს ნაკრების გარდა 13 ქვეყნის 125 სპორტსმენი გავა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ქართველები უძლიერესი შემადგენლობით იჭიდავებენ.

დღეს დილიდან სამივე ხალიჩა ბერძენ-რომაელებს დაეთმობათ და საღამოს ამ სტილის შვიდივე წონითი კატეგორიის ჩემპიონ-პრიზიორები გამოვლინდებიან. ხვალ კი თავისუფლების დღე იქნება.

ოთარ გაღლაძელიძე

# მთები, ტბები და ტრამპლინი

## სანდრო იაშვილი: აქ დიდი გზის გასავლელად ჩამოვედი



„საშუალო ევროპული დონის კლუბში მოვედი, მაგრამ აქ ყველაფერია, რაც ფეხბურთელს უხარია. ყველანაირად ხელს გიწყობენ, სიყვარულს გრძნობ“ — გვითხრა სანდრო იაშვილმა, რომელსაც გუშინ შვეიცარიაში დავუკავშირდით. შვეიცარიული ჩელენჯლიგის გამორჩეული ტრანსფერი სწორედ 22 წლის ქართველი ბომბარდირის „თუნში“ გადასვლა იყო. იქაურ გაზეთებში აშკარად ჩანს მოულოდნელობა — „თუნი“ არც „ბაზელია“, არც „ციურიხი“ და არც „გრასჰოპერი“, ამდენად არ ელოდნენ, ეს გუნდი ასეთ პერსპექტიულ ფორვარდს თუ შეიძენდა. „სარბიელისა“ და პროფლიგის გამოკითხვებით საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის, გასულ სეზონში 27 გოლის გამტანი იაშვილის კარიერაში ახალი ეტაპი იწყება — უცხოური კლუბი...

— როგორ მოეწყვე ახალ გუნდში, პირველი შთაბეჭდილებები როგორი იყო?

— პირველივე დღიდან ვიგრძენი, რომ მეგობრულ და პროფესიონალურ გუნდში მოვედი. „თუნი“ პატარა ქალაქის კლუბია, მაგრამ ძალიან გამართული, დაწყობილი და მიზანდასახული.

— ბევრი კლუბი გიწვევდა და რატომ აირჩიე მაინცდამაინც „თუნი“?

— ალბათ, გადამწყვეტი ფაქტორი იმან ითამაშა, რომ ამ კლუბს ყველაზე მეტად ვჭირდებოდი — ეს მათგან ვიგრძენი. რეკომენდაცია ჩემმა მენეჯერმა მალხაზ მუსერიძემ გამიწია.

— „თუნში“ შენი ოფიციალური პრეზენტაცია როდის იქნება?

— 19 ივლისს. ამ დღეს ახალწვეულებს წარადგენენ. ისე, გულშემატკივრებს უკვე შევხვდი და ვიგრძენი, რომ მათ ჩემი დიდი იმედი აქვთ.

— პრესტიჟული 10-ნომრიანი მაისურა გერგო. ეს ნომერი თავისუფალი დაგხვდა?

— სეზონის რომ დასრულდა, ნომრების არჩევა თავიდან მოხდა. არჩევანი ჩემზე იყო და მეც 10-იანი ვარჩიე.

— რაც კონტრაქტი გააფორმე, „თუნმა“ სამი საკონტროლო მატჩი გამართა და შენ მხოლოდ ერთხელ ითამაშე, ისიც შეცვლაზე-

— საქმე ისაა, რომ უვარჯიშებელი ჩამოვედი. ახლა უკვე ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს და ნელ-ნელა შევდივარ ფორმაში. დღეში თითო საათი ტყეში სირბილი დამინიშნეს — მარტო რომ არ ვიგრძნო თავი, მე და ჩემი მენეჯერი დავრბივართ. მოკლედ, ჯერ აღდგენით პროცესში ვარ.

— ხვალ ფრანგულ „ნიცას“ ხვდებით ამხანაგურ მატჩში და ალბათ, ითამაშებ...

— კი, ნელ-ნელა მომცემენ თამაშებს: 21 ივლისს შვეიცარიის ჩემპიონატიც იწყება და, შესაძლოა, საწყის რამდენიმე მატჩში შეცვლაზე შევიდე.

— თავდასხმაში დიდი კონკურენციაა?

— კარგი ფორვარდები გვყავს: მილაიმ რამა შვეიცარიის ნაკრებში თამაშობდა, ფაიე სენეგალის ნაკრებშია...

— „თუნის“ მწვრთნელმა, ჰოლანდიელმა რენე ვან ეკმა ძალიან შეგაქო...

— მაგარი მწვრთნელია. ახალგაზრდა, პერსპექტიული და თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული სპეციალისტია.

— რა მიზნები აქვს „თუნს“ მომავალ სეზონში?

— სამეულში შესვლა. სამწუხაროდ, ევროტურნირებზე ვერ ვითამაშებთ, წინა სეზონი გუნდმა ჩააგდო.

— ცხადია, საქართველოზე მაღალი დონე დაგხვდებოდა და პირველ რიგში, რაში იგრძნობა განსხვავება?

— ფეხბურთისადმი მიდგომაში. აქ ყველაფერი გაქვს საიმისოდ, რომ მარტო ფეხბურთზე იფიქრო. ბუნებრივია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პატიმარივით ცხოვრობდე: ჩემს მენეჯერს უთხრეს კიდეც ჩემზე, სახლში არ გამოიკეტოს, გაიხსნას, აქაურობას შეეჩვიოსო. სეირნობა, კაფე-ბარი, გასართობები — ამის პრობლემაც არ არის...

— შვეიცარია კურორტებით ცნობილია. თუნი როგორი ქალაქია?

— კოხტა ქალაქია. წარმოიდგინეთ, დიდი მთები და შუაში ტბები თავისი პლაჟებით. გადასარევი ბუნებაა და ძალიან ლამაზი შენობებიც დგას. თანაც, თუნიდან დედაქალაქამდე 20 წუთის სავალია.

— ენის პრობლემა გაწუხებს?

— არა, ცოტა ინგლისურად, ცოტა გერმანულად და ვგებულობ ყველაფერს, მენეჯერიც მეხმარება. თუნში გერმანულად ლაპარაკობენ შვეიცარიული აქცენტით.

— გრძნობ, რომ შენს კარიერაში ახალი ეტაპი დაიწყო?

— რა თქმა უნდა. მე აქ დიდი გზის გასავლელად ჩამოვედი, „თუნი“ ამისთვის მშვენიერი საშუალებაა.

**ილია ნანობაშვილი**



# გელაშვილი ჩამოვიდა და წავიდა

## რა გამოვა ამჯერად?

**გუშინ** გამთენიისას ბელგიიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ნიკა გელაშვილი, თუმც დროებით — უკვე დღეს გელაშვილი ისევ ბელგიაში იქნება.

თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ფორვარდი კარგა ხანი „ბრიუგეში“ იყო გასინჯვაზე, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ამ საქმიდან სასიკეთო არაფერი გამოდის და გელაშვილიც ამჯერად სხვა ბელგიურ კლუბში მოსინჯავს ძალებს.

„ბეერსხოტი“ და „ვარეგემი“ — ქართველი ფეხბურთელით ეს ორი გუნდია დაინტერესებული და ნიკამაც მათგან ერთი უნდა აირჩიოს. „ბეერსხოტი“ „ბრიუგემდეც“ ეპატიჟებოდა გელაშვილს და ცოტა ხანი ავარჯიშა კიდეც, „ვარეგემი“ კი ახალი ვარიანტია.

მოკლედ, ვნახოთ, როგორი იქნება ახალი მცდელობა...

**ოთარ მხეიძე**

# ანდობს უეფა უეფას თასს ეროვნულს?

## 2010 ან 2011: კანდიდატი თბილისია




**ეროვნული** სტადიონი იმ სტადიონთა შორისაა, რომლებსაც უეფას თასის 2010 და 2011 წლების ფინალის მასპინძლობა შეუძლიათ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ და ეროვნული სტადიონის დირექტორმა ირაკლი მეძმარიაშვილმა გუშინ უეფაში ოფიციალურად შეიტანეს განაცხადი.

უგულავა, მეძმარიაშვილი და თბილისის მერიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის თავმჯდომარე გიორგი შერვაშიძე ამ საკითხზე იყვნენ უეფას შტაბბინაში.

სექტემბრიდან უეფას კომისია კანდიდატი სტადიონების შემოწმებას დაიწყებს, ხოლო 2008 წლის მარტში 2010 და 2011 წლების ფინალის მასპინძელ სარბიელებს დაასახელებს.

კონკურენტები კი მრავლად ჰყავს ჩვენს „ეროვნულს“: უეფას თასის ფინალის მასპინძლობა სურთ ბუქარესტს (რუმინეთი), პოზნანს (პოლონეთი), კოპენჰაგენს (დანია), გელზენკირხენს (გერმანია), პორტუს (პორტუგალია), მადრიდს (ესპანეთი, „ვისენტე კალდერონი“), თელ ავივს (ისრაელი), დუბლინს (ირლანდია), ჰამბურგს (გერმანია), ლისაბონს (პორტუგალია, „და ლუჟი“), ლონდონს (ინგლისი, „ემირატ სტადიუმი“) და ბარსელონას (ესპანეთი, „მონჟუიკი“).

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

**მეორე** ლიგის აღმოსავლეთ ზონაში მოასპარეზე გუნდების ხელმძღვანელთა შეკრება სფფ-ში 18 ივლისს, 12 საათზე შედგება, ხოლო დასავლეთ ზონაში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელთა შეკრება 19 ივლისს, 12 საათზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს მომავალში გამოაცხადებს ჭაბუკთა ლიგის ჩემპიონატში მონაწილე კლუბების ხელმძღვანელთა შეკრების თარიღს.

*სფფ-ის პრესცენტრი*

### ირლანდია

პრემიერლიგა
XVIII ტური

ბრეი — დერი გადაიდო
დროჰედა 1:0 ბოჰემიანსი

### უკრაინა

ვიშა ლიგა. I ტური

მეტალურგი (ზ) 1:0 კარპატი

### აზიის თასი 2007

A ჯგუფი
II ტური

ერაყი 3:1 ავსტრალია

B ჯგუფი
II ტური

საამიროები 1:3 იაპონია

### ამხანაგური მატჩები

ბოლმი 1:3 სერვეტი
არმინია 0:1 გროცლინი
რანდერსი 1:1 ორჰუსი
მიდტიულანდი 0:3 ოდენსე
მიუნხენი 0:0 სპარტა
ლე მანი 2:1 რენი
კლოპენბურგი 2:1 ჰართსი
გუტერსლოჰი 0:3 რეინჯერსი
პსჟ 1:0 ტრუა
პიტერბრო 1:2 სელტიკი
იორკი 0:0 ლიდსი
რედინგი 0:1 რივერ პლეიტი
შიმიცუ 0:2 ლიონი
ლეხი 2:3 კლუჟი
მონაკო 0:2 სენტ ეტიენი
ჰაიდუკი 0:0 ვესტ ბრომვიჩი



შაბა საპი



ტონი შაპრონი

# ევრომსაჯები და მათი მსაჯები

**19 ივლისს** უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი ქართული გუნდი ითამაშებს — თბილისის „დინამო" შინ შვეიცარიულ „ვადუცთან" და „ამერი" სტუმრად პოლონურ „გკს ბელხატუვთან".

უეფამ ამ მატჩების მსაჯების ვინაობა გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა და ჩვენც ამის თაობაზე მოგახსენებთ...

„დინამო" — „ვადუცს" უნგრელი მსაჯები მოემსახურებიან: არბიტრი შაბა საპი, ასისტენტები პეტერ ჰეგუ და ჟოლტ ვარგა, მეოთხე მსაჯი ტამაშ ტომასი. უეფას დამკვირვებელი სლოვაკი იან ფასუნგი იქნება.

„ბელხატუვ" — „ამერს" კი ფრანგები განსჯიან: არბიტრი ტონი შაპრონი, ასისტენტები ჟან-ფილიპ იზო და ლორენ უგო, მეოთხე მსაჯი ანტონი გოტიე. უეფას დამკვირვებელი მაკედონიელი ვლადიმირ ანტონოვია.

შეგახსენებთ, რომ „დინამო" — „ვადუცი" „მიხეილ მესხზე" 18 საათზე დაიწყება, „ბელხატუვი" — „ამერი" კი 22.45 საათზეა დანიშნული.

**ბახა შალამბერიძე**

# ბუდჰი ბუსვანგა გაათავისუფლეს!



**რუსთავის** „ოლიმპმა" მაროკოდან კონგოელი თავდამსხმელის, ბუდჰი ბუსვანგას გათავისუფლების ფურცელი მიიღო.

როგორც იქნა, „ატლეტიკო ტეტუანმა" საშველი დააყენა და რუსთაველებიც ბუსვანგას უმალ შეიყვანენ საჩემპიონთალიგო განაცხადში — „ასტანასთან" მატჩი ხომ ლამის ცხვირწინაა.

„ოლიმპს" დაუბრუნდა სერბი ნახევარმცველი ვლადან ჟივკოვიჩიც, რომელიც პირადი საქმეების მოსაგვარებლად სამშობლოში იყო და უკვე „ასტანასთან" მატჩისთვის ემზადება.

გუშინ ვწერდით „ოლიმპში" პორტუგალიელი თავდამსხმელის შესაძლო გამოჩენაზე. კლუბში გვითხრეს, ჯერ ფირს ვნახავთ და თუ მოგვეწონა, შემდეგ ჩამოვიყვანთო.

და კიდევ: „ოლიმპიდან" წავიდა ნახევარმცველი კახა მახარაძე — მიზეზი პირობებზე შეუთანხმებლობაა.

**ნუკრი ლოლაძე**

# კობიაშვილი გაირკვა და ბობოხიძე გაურკვეველია

**ბოლნისის** „სიონში" რამდენიმე სიახლეა — გუნდს შეემატა საჩხერის „ჩიხურას" ყოფილი მცველი გიორგი თავბერიძე, ვისაც თითქოს პირველლიგელ ჭიათურის „მაღაროელში" უნდა ეთამაშა, მაგრამ ბოლო წამს ბოლნისში აღმოჩნდა. სავარაუდოდ, ნოდარ აკობიას გუნდში ითამაშებს თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ყოფილი მცველი თენგიზ კობიაშვილიც, რომელსაც „ბორჯომიც" ეპატიჟებოდა.

გუნდთან ერთად ვარჯიშობენ ახალგაზრდა ფეხბურთელები — პაპუაშვილი, სამსონია და ჯიშკარიანი.

და ერთიც: ჯერჯერობით გაურკვეველია, დარჩება თუ არა მიხეილ ბობოხიძე ნოდარ აკობიას გუნდში. ამ საკითხზე მოლაპარაკებები ჯერაც მიდის.

დღეს კი ბოლნისელები მოსამზადებელი ეტაპის პირველ ტესტ-მატჩს გამართავენ — მათი მეტოქე თბილისის „მერანი" იქნება.

**ნუკრი ლოლაძე**

# გიორგი ჩიხრაძე: ჰერტა ბელხატუვთან გამოგვადგება ახლა უფრო გუნდურად...



საქართველოს თასის ორგზის მფლობელი „ამერი" ორკვირიანი ჩეხური შეკრებიდან დაბრუნდა და ახლა პოლონურ „გკს ბელხატუვთან" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მზადებას აქ აგრძელებს.

ჩეხურ ბლშანში დაბანაკებულმა „ყვითლებმა" ორ კვირაში ექვსი ამხანაგური მატჩი ითამაშეს, მათ შორის, იქაური ფეხბურთის ლიდერებთან — პრაღის „სპარტასთან" და „სლავიასთან".

რა ხდებოდა ჩეხეთში, გუნდის მომზადებისას რაზე იყო აქცენტი გაკეთებული, რა გუნდია „ამერის" მომავალი მეტოქე, როგორია შთაბეჭდილება ახალწვეულებზე — ამ და სხვა კითხვებზე საპასუხოდ „ამერის" მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს მივმართეთ...

— ჩეხეთში ჩინებული პირობები გვქონდა, უმაღლესი ხარისხის მოედნები, სარეაბილიტაციო საშუალებები, ფიტნეს-დარბაზი, მაღალი დონის სპარინგ-მეტოქეები... ყველაფერი კარგად იყო და ვფიქრობ, რომ გუნდიც სათანადოდ მოემზადა. ერთადერთი, რასაც ყველა განვიცდით, რატი წინამძღვრიშვილის უმძიმესი ტრავმაა, ის ჩეხეთში პირველივე მატჩის შემდეგ გამოგვაკლდა და ალბათ საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეშიც ველარ დაგვეხმარება.

**— ამ შეკრებისას ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც დაგეგმილი გქონდათ?**

— ჩვენი მიზანი გუნდის შეთამაშება, სხვადასხვა ტაქტიკურ ვარიანტების დამუშავება, ახალწვეულთა შესაძლებლობებში უკეთ გარკვევა და იქიდან გამომდინარე, ოპტიმალური ძირითადი შემადგენლობის შერჩევა იყო.

**— შეარჩიეთ?**

— თითქმის... „ამერში" ახლა დიდი კონკურენციაა, შემიძლია ვთქვა, რომ რამდენიმე პოზიციაზე თანაბარი ძალის ფეხბურთელები გვყავს. „ბელხატუვთან" პირველ მატჩამდე კი კვირაზე ნაკლები დარჩა და სწორედ ეს დღეები გამომადგება საიმისოდ, რათა კონკურენტთა შორის უკეთესი ვათამაშო. „ბელხატუვთან" მატჩამდე ფეხბურთელებს აქვთ იმის საშუალება, რომ თავიანთი უპირატესობა დაამტკიცონ.

**— წინა სეზონის გათვალისწინებით, „ამერის" ძირითადი მნიშვნელოვნად შეიცვლება?**

— ცვლილებები, ცხადია, იქნება, მაგრამ განსაკუთრებული ალბათ არაფერი. გავიმეორებ, „ამერში" დიდი კონკურენციაა და ძირითადში ადგილის დამსახურება ძნელი იქნება.

**— ახალწვეულებზე რას იტყვით?**

— წინა ჩემპიონატში მეტ-ნაკლებად ვინც გამოირჩეოდა, ისინი მოვიწვიეთ და მათზე კარგი წარმოდგენა მაქვს. რა თქმა უნდა, როცა ახალ გუნდში მიდიხარ, ადაპტაციისთვის დრო გჭირდება, ატმოსფეროს უნდა შეეგუო, უნდა გაითავისო ახალი მოთხოვნები, სავარჯიშო მეთოდი... ჯერჯერობით კი ყველაფერი ნორმალურადაა, საპრეტენზიო არავისთან არაფერი მაქვს. კმაყოფილი ვარ საქმისადმი მიდგომით, თუმცა ჯერ ერთი თვეა, რაც ერთად ვართ და „ამერში" მათი მომავალი მათზევე იქნება დამოკიდებული.

**— წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, ამ შეკრების შემდეგ ყველაზე მეტად რამ დაგაკმაყოფილათ?**

— ფეხბურთელების რწმენამ. ვფიქრობ, ისინი უკვე საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნდნენ და რანგისა და სახელის განურჩევლად მეტოქეების შიში და მორიდება არ აქვთ. ბიჭებმა ირწმუნეს, თუ მოინდომებ, იბრძოლებ და სწორად ითამაშებ, ყველა მეტოქის დამარცხება შეიძლება. ეს რაც შეეხება ფსიქოლოგიურ მომენტს. ისე კი, გუნდს ახლა უფრო მეტად ეტყობა გუნდური თამაში და ის, ქართველებისთვის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი, სწორედ გუნდური თამაშით იცვლება.

**— „სპარტასთან" რა მოხდა? 17 წუთში 0:3...**

— „სპარტასთან" ჩეხური შეკრების მეორე მატჩი გვქონდა და ფეხბურთელებს ეტყობოდათ, რომ დაკომპლექსებულები იყვნენ. პირველი ორი გოლი ელემენტალური შეცდომების გამო მივიღეთ. ბურთი მეტოქეს ჩვენს საჯარიმოსთან ჩავაბარეთ. მე-5 წუთზევე მიღებული გოლი კი, დამეთანხმებით, ფსიქოლოგიურადაც უარყოფითად მოქმედებს. ხოლო ვიდრე თამაში დავალაგეთ და ბიჭები საწყისი შოკიდან გამოვიდნენ, „სპარტამ" მესამეც გაიტანა. თუმცა მერე გოლის გატანის ორი შანსი გვქონდა. მეორე ტაიმში კი სამი, რომ იტყვიან, ასპროცენტიანი მომენტი გავაცუდეთ.

**— და „სლავიასთან" როგორ იყო?**

— იმ შეხვედრაშიც პირველი გოლი მასპინძლებმა გაიტანეს, მაგრამ ანგარიშიც მალევე გავათანაბრეთ და ნახევარი საათის შემდეგ უკვე 3:1 ვიგებდით. ორი გოლი „სლავიამ" შესვენებამდე სტანდარტული პოზიციებიდან გაგვიტანა, რაც ჩეხებს უმაღლეს დონეზე აქვთ დახვეწილი. ზოგადად, ჩეხეთის გაბრინუსლიგის გოლების 50 პროცენტი სწორედ სტანდარტულ მდგომარეობებს მოსდევს და ამ უპირატესობით „სლავიამ" ჩვენთანაც ისარგებლა. ამ შეხვედრაში პირველი ტაიმი ორივე გუნდმა პირობითად ძირითადი შემადგენლობებით ვითამაშეთ, შესვენების შემდეგ კი ბევრი შეცვლები გავაკეთეთ.

**— „სპარტასა" და „სლავიას" გარდა იყო „ლიბერეცი", ჩეხური შეკრების პირველი მეტოქე, მატჩი 1:1 დამთავრდა...**

— სხვათა შორის, „სპარტა", „სლავია" და „ლიბერეცი" თითქმის ერთი დონის გუნდები არიან. „სპარტას" უფრო მეტი შემსრულებელი ფეხბურთელი ჰყავს და კონკურენტებს ამით ალემატება.

**— ჩეხეთში ბოლო მატჩი „პლზენთან" გქონდათ...**

— ეს უფრო „ბელხატუვამდე" რეპეტიცია იყო. კონკრეტული ტაქტიკა ავირჩიეთ და ბოლომდე მივყევით. შესვენებამდე აქცენტი დაცვაზე გავაკეთეთ, მეორე ტაიმში კი მეტოქეს გეგმაზომიერად შევუტიეთ და მოვუგეთ კიდეც.

**— მომავალი მატჩი კი უკვე ოფიციალურია — 19 ივლისს „ბელხატუვს" ეთამაშებით. რა იცით მეტოქეზე?**

— გარკვეული ინფორმაცია გვაქვს. ვნახავთ „ბელხატუვის" წინა სეზონის მატჩებსაც და მეტოქეს უფრო დეტალურად შევისწავლით. დღესდღეობით კი, შემიძლია გითხრათ, რომ „ბელხატუვი" ათლეტური გუნდია, საშუალო ევროპული დონის ფეხბურთს თამაშობს, დაახლოებით ისეთს, როგორსაც სერბები, ჩეხები, ბელგარელები, რუმინელები... მოკლედ, ერთი ჩვეულებრივი გუნდია და თუ ჩვენ ჩვენს თავს არ შევუქმნით პრობლემას, მეტოქე დაუძლეველი არ იქნება...

**— მით უმეტეს, რომ უეფას თასზე „ბელხატუვს" წლეულს დებიუტი აქვს, „ამერი" კი შარშან გერმანულ „ჰერტას" ტოლ-სწორად ეთამაშა...**

— შარშან ამ დროს ჩეხეთის მოსამზადებელი პერიოდი, ფაქტობრივად, ჩაგვივარდა, ყველაფერი ისე არ იყო, როგორც გვსურდა. ამ დონის მეტოქეებიც არ გვყავდა. ახლა კი პირობებიც საუკეთესო იყო და ძლიერ გუნდებსაც ვეთამაშეთ. თან „ჰერტასთან" შარშანდელი გამოცდილებაც წაგვეშველება და იმედი მაქვს, „ბელხატუვთან" ჩვენ გავიხარებთ.

**ძობა ინასარიძე**

# ავსტრიელებმა ქართველს გერმანული დაუწუნეს



**ავსტრიულ** ბუნდესლიგაში პირველი ტური ჩატარდა და გრაცის „შტურმის“ ახალწვეულ გიორგი შაშიაშვილის დებიუტიც შედგა — გრაცელები შინ 2:2 დაუზავდნენ ვენის „აუსტრიას“.

„შტურმის“ მწვრთნელ-ხელმძღვანელობა უკმაყოფილო დარჩა შედეგით და მიზეზთა ძიებაში ენობრივ პრობლემებს მიაგნეს. ავსტრიული სააგენტოების ცნობით კი, „შტურმს“ განსაკუთრებით თურმე დაცვაში უჭირს...

„შაშიაშვილი საიმედო მცველი და კარგი შენაძენია კლუბისთვის, თუმცა, გრაცელთა სამწუხაროდ, მან არც ერთი სიტყვა არ იცის გერმანულად. ამის გამო გუნდი შეუთამაშებლის შთაბეჭდილებას ტოვებს და შედეგად, პირველ ტურში დაკარგული ორი ქულა გამოდგება. კლუბის გადაწყვეტილებით, შაშიაშვილი მეცადინეობას იწყებს და ეს პრობლემა, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა მოგვარდეს“ — წერენ ავსტრიელი ჟურნალისტები.

მოკლედ, გიორგის მოედანზე ვარჯიშის თუ თამაშის გარდა გერმანული ენის მასწავლებელთანაც მოუწევს სიარული.

**ბახა შალამბერიძე**

# მენთეშაშვილმა ელიავაც არ დაინდო



ლატვიის ჩემპიონმა „ვენტსპილსმა“ ქვეყნის ყველაზე ტიტულიან გუნდს, რიგის „სკონტოს“ უმასპინძლა. ეს მატჩი ჩვენთვის იმით იყო გამორჩეული, რომ ორივე გუნდში ქართველები თამაშობენ — „ვენტსპილსში“ ზურაბ მენთეშაშვილი, „სკონტოში“ კი ზაალ ელიავა და დავით გამეზარდაშვილი. ელიავა მოედანზე 83-ე წუთზე გამოჩნდა, მენთეშაშვილმა და გამეზარდაშვილმა კი სრულად ითამაშეს. მასპინძლებმა 3:1 მოიგეს და მესამე ბურთი მენთეშაშვილმა გაიტანა. საქართველოს ნაკრების საყრდენი ნახევარმცველისთვის ეს პირველი ვენტსპილსური გოლია, სულ კი ლატვიაში მეოცე მიითვალა. ზურასთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ...

— ყოფილი გუნდი დაამწუხრე. ალბათ განსაკუთრებული ჟინით გახვედი „სკონტოსთან“ სათამაშოდ...

— უფრო მოტივირებული ვიყავი. ძალიან მინდოდა, სწორედ მათთვის გამეტანა და ეს შევძელი კიდეც. გოლის გატანა როგორ არ გამხარებია, მაგრამ ეს ორჯერ უფრო მეტად სასიამოვნო იყო.

— ძალიან ნაწყენი ჩანხარ...

— ეს ისტორია წარსულს ჩაბარდა, თუმცა, რაც მქონდა ჩაფიქრებული, ავისრულე.

— როგორი გოლი იყო?

— ელიავას წავართვი ბურთი, საჯარიმოში შევედი და ძლიერად დავარტყი მაღალ კუთხეში — ლამაზი გოლი იყო.

— არადა, ელიავა მხოლოდ ორი წუთის შემოსული იყო მოედანზე...

— ისედაც აგებდნენ, ხუთი წუთი რჩებოდა და 2:1 ვიგებდით. უბრალოდ, ჩემი გოლით უფრო დავმშვიდდით.

— გამეზარდაშვილმა როგორ ითამაშა?

— სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, ისე კარგად ითამაშა.

— ისე გამოდის, „ვენტსპილსი“ და „სკონტო“ ერთმანეთს ეომებით, ჩემპიონი კი „მეტალურგსი“ ხდება...

— ძალიან ჩამოვრჩით, თუმც ბრძოლას არ შევწყვეტთ. არ ვიცი, რა ხდება, თითქოს შემადგენლობით ყველაზე ძლიერ გუნდად ჩვენ ვითვლებით, მაგრამ...

— ლატვიის ჩემპიონატის გარდა თასზე, ბალტიის თასზე და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც თამაშობთ...

— ჩემპიონთა ლიგის რა გითხრათ, პირველ ეტაპს ალბათ გავივლით, დანარჩენის მოგება კი ჩვენი მიზანია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# იმედაშვილი სატურნს ვერ შესწვდა



**დავით იმედაშვილს** რამენსკოეს „სატურნის“ ვარიანტი ჩაეშალა და კვლავაც ახალი კლუბის ძიებაშია.

კიევის „დინამოს“ 22 წლის ქართველი მცველი „სატურნთან“ ერთად ავსტრიულ შეკრებაზე იყო, ტესტ-მატჩშიც ითამაშა, მაგრამ მწვრთნელ გაჯი გაჯიევს თავი ვერ მოაწონა.

გაჯიევს რუსმა ჟურნალისტებმა იმედაშვილზე რომ ჰკითხეს, თქვენთან იყო და ახლა სად არისო, მოკლედ მოუჭრა — იმედაშვილი ჩვენთან მხოლოდ იყო, იგი „სატურნში“ არ ითამაშებსო...

**ილია ნანობაშვილი**

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# ლიტვა თურქმენეთთან იამხანაგებს

**ევროპის** 2008 წლის შესარჩევ ეტაპზე სექტემბრამდე შესვენებაა. მანამდე ნაკრებებს ფიფას დღედ მხოლოდ 22 აგვისტო აქვთ და, ცხადია, ამხანაგური მატჩებს გეგმავენ.

ევროშესარჩევ ჯგუფში ჩვენმა მეტოქე ლიტვამ სპარინგ-პარტნიორი უკვე გამოძებნა — ბალტიისპირელები 22 აგვისტოს თურქმენეთის ნაკრებს უმასპინძლებენ. როგორც ლიტველთა მწვრთნელმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა განაცხადა, ეს მატჩი გენერალური რეპეტიცია იქნება 8 სექტემბერს გლაზგოში, შოტლანდიასთან გასამართი შეხვედრისთვის.

შეგახსენებთ, რომ 22 აგვისტოს საქართველოს ნაკრები ამხანაგურად ლუქსემბურგს გაეჯიბრება სტუმრად.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ალგიმანტას ლიუბინსკასი



# მეც მინდა!

**ნალჩიკის** „სპარტაკის“ ქართველ ლეგიონერ ალექსანდრე ამისულაშვილს ყაბარდოულ კლუბში განათხოვრების ვადა 31 ივლისს ეწურება.

ამისულაშვილი კიევის „დინამოს“ საკუთრებაა, მაგრამ უკრაინულ გრანდში ფეხი ვერ მოიკიდა და შარშან იაროსლავლის „შინიკში“ გაანათხოვრეს, წლეულს კი — „ნალჩიკში“.

რუსული კლუბის ხელმძღვანელობას ამისულაშვილის დატოვება რომ სურს, მოძველებული ამბავია, ახლა კი ნალჩიკში დარჩენის სურვილი თავად ფეხბურთელმაც გაამხილა...

„აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და ვერ ვხედავ კლუბის შეცვლის მიზეზს, თუმც ეს მხოლოდ ჩემს სურვილზე არ არის დამოკიდებული. მთავარია, „სპარტაკის“ და „დინამოს“ ხელმძღვანელობა შეთანხმდნენ“ — განაცხადა ამისულაშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გვაზავა რუსეთის მოქალაქე გახდა



**ნალჩიკის** „სპარტაკის“ ქართველმა ნახევარმცველმა ლევან გვაზავამ რუსეთის პასპორტი მიიღო.

უახლოეს დღეებში „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა ხელახლა გადააფორმებს ქართველ ნახევარმცველს და ამით ოფიციალურად შეამცირებს კლუბში ლეგიონერთა რაოდენობას, რაც საშუალებას მისცემს, დაწესებული ლიმიტის გათვალისწინებით ქართველი ფეხბურთელი უპრობლემოდ ათამაშოს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სერგეი ნუდნი: მოლდოველი ზესტაფონელი ბელარუსშია



**სერგეი ნუდნი** უთუოდ გეხსომებათ. ფუტკარივით მშრომელი მოლდოველი ნახევარმცველი „ზესტაფონში“ ორი წელი თამაშობდა და საკმაოდ წაადგა კიდეც გუნდს — საგოლე პასებსაც ხშირად არიგებდა და ერთხელ თბილისის „დინამოს“ ისეთი მაკრატელა გაუტანა, თქვენი მოწონებული.

26 წლის ნუდნი შარშან „ზესტაფონიდან“ მოლდოვურ „ტილიგულში“ გადავიდა, ახლა კი კვლავ გამოუცვლია კლუბი — ბელარუსში, მინსკის „დინამოში“ გადასულა.

**ილია ნანობაშვილი**



AFP

# არ არის დევიდი ის კაცი!
## პელემ კი თქვა, მაგრამ...

**დევიდ ბექემი** ამერიკაში ჩავიდა და, როგორც ჟურნალისტებმა თქვეს, ამ ქვეყნის გულშემატკივართა მიერ გადაკიდებული მძიმე ტვირთი უკვე მხრებზე აწევს.

იქ, ამერიკაში, პელეს, იოჰან კრუიფისა და ფრანც ბეკენბაუერის შემდეგ ფეხბურთის გამო გაზეთებში დიდი ასოებით არაფერი დაწერილა. ახლა რა მოხდება, ვნახოთ: ყოველ შემთხვევაში, ბექჰმა „ლოს ანჯელეს გალაქსისთან“ 253-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა, რასაც რამდენიმე ათასი ფანი დაესწრო — რასაკვირველია, ეს ის რაოდენობა არ არის, 2003 წელს მადრიდში რომ დახვდა, მაგრამ...

მაშინ მადრიდში, ერთ დღეში 41 ათასი 23-ნომრიანი მაისურა გაიყიდა. „გალაქსის“ არც ეს შეუძლია, თუმცა მთელი ამერიკის მასშტაბით, სპორტული მაღაზიები 250 ათასის გასაღებას ვარაუდობენ.

და კიდევ, ბექემს მხარში ამოუდგა, არც მეტი, არც ნაკლები, პელე, ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიადად შერაცხული.

პელემ ბრძანა: „დევიდ ბექემი ის ადამიანია, რომელმაც ბოლო 10 წლის განმავლობაში საკუთარ თავსა და ფეხბურთს ყველაზე დიდი პრომოუშენი გაუკეთა. მას მერე, რაც ინგლისი დატოვა და მადრიდის „რეალში“ გადავიდა, ბექემი სარეკლამო სახელია. მისი ცოლი შოუ-ბიზნესის სფეროდან არის. ის მომღერალი იყო და ამ ყველაფერმა ბექემი შოუმენად აქცია. ჩემს დროს ცოტა სხვანაირად იყო. მე აქ ჩამოვედი, რათა პროფესიული ფეხბურთის სათავეებთან ვყოფილიყავი. მაშინ ფეხბურთს მხოლოდ კოლეჯებში თამაშობდნენ და ის სამოყვარულო იყო...

...პირველ წელიწადს ძალიან გამიჭირდა. მახსოვს, „სან ხოსესთან“ 1:2 რომ წავაგეთ, ჩემს თავს შევუძახე: ღმერთო ჩემო, რა უნდა ვაკეთო ამ ხალხში? დღეს სხვა ვითარებაა, დღეს ამერიკაში ფეხბურთის დონე გაზრდილია და ბექემმა სამუშაო უნდა განაგრძოს“.

თუმცა პელეს ერთ-ერთი მაშინდელი თანაგუნდელთაგანი, იტალიელი ჯორჯო კინალია, რომელმაც თავის დროზე ჩრდილო ამერიკის საფეხბურთო ლიგაში, „კოსმოსის“ შემადგენლობაში 254 თამაში ჩაატარა და 250 გოლი გაიტანა, ასე ოპტიმისტურად არ არის განწყობილი: „აქ ცდილობენ, ისე დახატონ, თითქოს ბექჰი პელესავით თამაშობს, მაგრამ ასე არ არის. პელესა და მარადონას დრიბლინგი და გოლის ხშირად გატანა შეეძლოთ, დევიდი კი, მართალია, დიდი ფეხბურთელია, მაგრამ გოლები ხშირად ვერ გააქვს და ამის გამო ამერიკაში იოლი ცხოვრება ნამდვილად არ ელის. აქ ამერიკაა, სადაც ხალხი გადამწყვეტი დარტყმის შემსრულებლებს ეთაყვანება, ბეისბოლში ჰიტერეს, ხოლო ამერიკულ ფეხბურთში კვორტერბეკებს. მერედა, „გალაქსი“ სულაც არ არის ძლიერი გუნდი. ამ გუნდს კარგი მწვრთნელი ჰყავს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და, მერწმუნეთ, საკმარისი არც ბექემი იქნება. წარმატებისთვის მას გარშემო სხვა ვარსკვლავებიც სჭირდება“.

სტატისტიკა მართლაც კინალიას მხარესაა. „გალაქსიმ“ მიმდინარე სეზონში 12 თამაშიდან მხოლოდ სამი მოიგო, ხოლო აშშ-ის თასიდან მეორე დივიზიონის გუნდმა გააგდო.

გარდა ზემოთქმულისა, კინალია ეჭვობს, რომ ბექემმა ამერიკაში ფეხბურთის ბეისბოლთან და ამერიკულ ფეხბურთთან დაპირისპირება შეძლოს.

„ბურთის თამაშისთვის ბექემს 250 მილიონს არ უხდიან. ბურთაობაში მისი ხელფასი 5,9 მილიონია, დანარჩენი კი მაისურების გაყიდვაზე და ასეთ რაღაცებზეა დამოკიდებული, თუმცა ფეხბურთი აქ ამერიკაში სატელევიზიო სახეობა არ არის და საეჭვოა, რომ ამდენი მაისურა გაიყიდოს. MLS-ის თამაშებზე 70 ათასი ადამიანი არასდროს დადის. „რედ ბულზი“ რომ „რედ ბულზია“, ნიუ იორკში მის თამაშებზე მაქსიმუმ 10 ათასი ადამიანი იკრიბება და ძალიან მეეჭვება, რომ ბექემმა ამ სურათის შეცვლა შეძლოს. საერთოდაც, ლიგამ საქმისადმი თავისი დამოკიდებულება უნდა შეცვალოს. არ შეიძლება, ერთი ფეხბურთელი ბექემის დარად ვეება ხელფასს იღებდეს, მეორე კი 50 დოლარად თამაშობდეს, თუმცა, ვინ იცის, იქნებ ბექემმა ამერიკაში ფეხბურთელები შემოიტყუოს. იგი MLS-ში პირველი დიდი ვარსკვლავია და ღვთის დახმარებით, იქნებით სხვებიც გამოჩნდნენ“.

სხვათა შორის, ეჭვებში კინალია მარტო არ არის.

ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ტრევორ ფრენსისიც დიდად ეჭვიანი კაცი გამოდგა: „დიახ, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ხალხი მივა და ბექემს შეხედავს, მაგრამ ფეხბურთში მაინც ყველა გაუთვითცნობიერებელი დარჩება. კიდევ, ვფიქრობ იმას, რასაც ეს ხალხი დევიდისგან ელის, უბრალოდ, ვერ მიიღებს. ბექემი არ არის ის ფეხბურთელი, რომელიც უცებ დაბზრიალდება, სამ კაცს მოატყუებს ან თავს დაადებს და კარისკენ ისე გაეშურება, რომ ტრიბუნებს ფეხზე წამოახტუნებს. ის ერთ-ერთი საუკეთესო ჩამწოდებელი და საჯარიმოების ოსტატია, რაც იმას ნიშნავს, რომ გაუთვითცნობიერებელი ხალხის მოჯადოება გაუჭირდება“.

**ბაკუნა ძედია**

# მანჩესტერული ცარცის წრე

**ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა, რომ კარლოს ტევესი, ფაქტობრივად, უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელია — არგენტინელი თავდამსხმელი სამშაბათს ინგლისში იქნება და სამედიცინო შემოწმებას გაივლის. ჟურნალისტებთან საუბარში ფერგიუსონმა თქვა:

„მგონი, დამთავრდა, ტევესი ჩვენი ფეხბურთელია. პრემიერლიგამ უკან დაიხია. მათ, უბრალოდ, უნდოდათ შეემოწმებინათ, ამ საქმეში ყველაფერი გამჭვირვალედ არის თუ ვინმე რამეს მალავს. ჩვენც სწორედ ამის მომხრენი გახლდით. ჩვენს ტრანსფერს რაიმე სუნი რომ ასდიოდეს, არანაირად არ გვაძლევს ხელს. როდესაც ტევესის ყიდვა გადავწყვიტეთ, ყველა აღფრთოვანდა. ის საუცხოო ფორმაშია. თან, ჯერ მხოლოდ 23 წლისაა და აუცილებლად კიდევ აიმაღლებს დონეს — ეს მისი მაქსიმუმი არ არის. მგონი, „ვესტ ჰემი“ პრემიერლიგაში პირადად მან დატოვა“.

შეგახსენებთ, რომ ტევესი დიდ სატრანსფერო გაუგებრობაში მოჰყვა, რის გამოც „ვესტ ჰემიდან“ მისი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა გაჭიანურდა, მაგრამ ფეხბურთელის მრჩევლის კია ჯურაბჩიანის განცხადებით, გაუგებრობას ორი დღეღა დარჩენია. ჯურაბჩიანის განცხადებაშიც, ფერგიუსონის ნათქვამისა არ იყოს, სამშაბათისა და სამედიცინო შემოწმების ამბავი წერია: „სამშაბათს კარლოს ტევესი „ოლდ ტრაფორდზე“ სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რაც ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლის შემადგენელი პროცედურაა. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ საქმის მონაწილე ყველა მხარე უკვე კმაყოფილია და ფორმალობებსაც ორ-სამ დღეში მოვაგვარებთ“.

„იუნაიტედი“, რომელსაც ჯურაბჩიანთან ერთად საქმე რატომღაც უკვე მოგვარებული ჰგონია, იმედოვნებდა, რომ არგენტინელი ვარსკვლავი წინა კვირაშივე მისი იქნებოდა, მაგრამ მეპატრონის პრობლემამ ტრანსფერი შეაფერხა. რა მოხდა, ყველამ კარგად ვიცით: პრემიერლიგის შეფებმა განაცხადეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ტევესს უშუალოდ ჯურაბჩიანისგან ვერ იყიდიდა, რადგან ის „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელი გახლდათ და წილი ლონდონის გუნდსაც ერგებოდა. 5,5 მილიონი გირვანქით ზუსტად იმის გამო დააჯარიმეს თავად „ვესტ ჰემი“, რომ აპტონპარკელებმა ვითომ დარღვევებით შეძენილ ტევესთან ერთად პრემიერლიგაში დარჩენა გაინაღდეს, მისი კონკურენტი „შეფილდ იუნაიტედი“ კი დაიჩაგრა და გავარდა.

სხვათა შორის, „შეფილდი“ ისევ ამღვრევს წყალს — გუშინ ამ კლუბის ხელმძღვანელები საჩივრით სასამართლოს კარს მიადგნენ, პრემიერლიგის გადაწყვეტილება სამართლიანი არ იყოო. „ვესტ ჰემის“ პრესატაშემ კი, თავის მხრივ, ყველაფერი თავიდან არივ-დარია: „კარლოს ტევესს „ვესტ ჰემთან“ კონტრაქტის ვადა არ გასვლია, ეს ხელშეკრულება კვლავ ძალაშია და, შესაბამისად, ის „მანჩესტერ იუნაიტედში“ ჩვენი კლუბისა და პრემიერლიგის ნებართვის გარეშე ვერ გადავა“.

აი, ასეა საქმე, თუმცა ფერგიუსონი მშვიდადაა. იცით, რომ მან ალან სმიტს განუცხადა, უკვე დანამდვილებით აღარ მჭირდებიო და, შესაძლოა, ლუი სააც გაუშვას. რა გამოდის? ფერგიმ ან რამე ისეთი იცის, რასაც ჩვენ არ გვეუბნებიან, ან კიდევ, თავდასხმაში უეინ რუნისა და ოლე გუნარ სოლსკიაერის ამარა დარჩენის საშიშროების წინაშე იტოვებს თავს.

**ბაკუნა ძედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეალი ბარსას და მილანს ქომაგობს

## ფაბრეგასმა, არსენალში ვრჩებიო



ლონდონის „არსენალის" ახალგაზრდა მოთამაშემ სესკ ფაბრეგასმა „რადიო მარკასთან" საუბარში სამომავალსეზონოდ მადრიდის „რეალში" გადასვლა იუარა. ესპანელების ფულუხვი შეთავაზების მიუხედავად, კატალონიელი ისევ „არსენალის" ერთგული რჩება.

„თავს მოვალედ ვგრძნობ „არსენალის" წინაშე. ამ კლუბმა და განსაკუთრებით, მწვრთნელმა არსენ ვენგერმა პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოყალიბების შანსი მომცეს. გაისადაც ლონდონში დარჩენას ვაპირებ" — განაცხადა სესკმა.

„სამეფო გუნდს" ფაბრეგასის შეძენა ძალიან უნდოდა და კლუბის სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩიც ლონდონელებს ხშირად ეკონტაქტებოდა. თუმცა სესკმა „არსენალი" ირჩია: „მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა პრედრაგ მიატოვიჩს და „რეალის" პრეზიდენტ რამონ კალდერონს — ორ შესანიშნავ პიროვნებას, რომელთაც ჩემდამი გულისხმიერება გამოიჩინეს. რასაკვირველია, „რეალში" თამაში მსოფლიოს ყველა ფეხბურთელს მოეწონებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე ინგლისში დარჩენას ვამჯობინებ".

„მეთოფეთა" ერთგულმა კაცმა ვენგერი და მისი გუნდი შეაქო: „არსენალის" გარეშე ფეხბურთის თამაში ვერ წარმომიდგენია. განა ხშირად აძლევენ ყმაწვილ მოთამაშეს დიდი გუნდის ძირითადში თამაშის შესაძლებლობას? პრემიერლიგაში გატარებული ბოლო სამი წელი ჯადოსნური იყო ჩემთვის და წინაშე დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. მინდა, თამაში აქ გავაგრძელო და ბევრი ჯილდო მოვიგო".

რახან სესკმა გადაჭრით თქვა უარი, მიატოვიჩმა სხვა ვარიანტებიც მოსინჯა. „რეალი" ახლა ხაბი ალონსოს, რიკარდუ კვარესმას, რომან რიკელმეს და, რა თქმა უნდა, მადრიდული იჩჩადის დიდი ხნის ოცნებას, „მილანის" ბრაზილიელ კაკას ელაპარაკება. თუ რონალდინიო „ბარსელონადან" „სან სიროზე" გადავიდა, მაშინ შეიძლება სიზმარი, სახელად კაკა, რეალობად გადაიქცეს...

**ლადო ხომერიკი**



# სეზარს ბუფონის არ ეშინია

მილანის „ინტერის" მეკარე ჟულიო სეზარი დალალა ჯანლუიჯი ბუფონის „ნეროაძურიში" შესაძლო გადასვლაზე მითქმა-მოთქმამ, თუმცა, ახლა ეს ძალიან არარეალურია, ბუფონმა ახლახან გაახანგრძლივა კონტრაქტი „იუვენტუსთან".

მიუხედავად ამისა, „ინტერის" ბრაზილიელმა გოლკიპერმა აღნიშნა, რომ არავისი ეშინია და თავისი შესაძლებლობებისა სჯერა.

„ნამდვილად არ იყო სასიამოვნო, მთელი სეზონის ამ მითქმა-მოთქმის ფონზე ჩატარება, მაგრამ სიმშვიდეს ვინარჩუნებდი და ახლა ამას კიდევ უფრო ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ. საკუთარი თავის მჯერა და ვიცი, რომ გუნდის დახმარება შემიძლია. თან ჯერ სრული პოტენციალი არ გამომივლენია. მეკარეობა რთულია, არც ერთი შეცდომის უფლება არ გაქვს, თანაც, „ინტერის" დარ გუნდში. თუმცა არ ვნერვიულობ და კვლავ შემართული ვარ" — თქვა სეზარმა.

ბრაზილიელმა წინა სეზონი მართლაც კარგად ჩაატარა და „ნეროაძურიმაც" ახალი კონტრაქტი გაუფორმა — მხარეებმა თანამშრომლობა 2012 წლამდე გააგრძელეს.

ჟულიო სეზარი: „წინა სეზონის გუნდი ძალიან ძლიერი იყო და, ფაქტობრივად, მთელი შემადგენლობა შევინარჩუნეთ. გარდა ამისა, დაგვემატა დავიდ სუაზო, რომელიც ბრწყინვალე ფეხბურთელია და ძალიან დაგვეხმარება. გვჯერა, ასევე შეგვიძლია გაგრძელება და ვინ იცის, მომავალ სეზონში ეგებ ჩემპიონთა ლიგაც მოვიგოთ".

**კოკი კანდელაკი**

# პირლოს მაქსიმუმი



იტალიის ნაკრებისა და „მილანის" ნახევარმცველ ანდრეა პირლოს სჯერა, რომ „როსონერის" შეუძლია, მომავალი სეზონი წინაზე უკეთ ჩაატაროს.

მილანელები ამჟამად შვებულებაში არიან — „როსონერი" მომავალი სეზონისთვის მზადებას 23 ივლისს დაიწყებს.

ანდრეა პირლო: „ეს ხანგრძლივი შესვენება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სრულფასოვნად დასვენებას შევძლებთ და მომავალ სეზონს მთელი შემართებით შევეგებებით. მინდა, „მილანის" წარმატება კიდევ ერთხელ მივუძღვნა ყველა ჩვენს ფანს, რომლებიც მუდამ მხარს გვიჭერდნენ. მომავალ სეზონში ბევრი მიზანი გვექნება — სკუდეტო, ჩემპიონთა ლიგა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, ევროპის სუპერთასი და იტალიის თასი. თუ შეკრული გუნდი გვეყოლება, ყველაფრის მოგებას შევძლებთ".

„მილანის" 28 წლის ნახევარმცველმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ბოლო 12 თვე მისთვის დაუვიწყარი გახლდათ — შარშან ზაფხულს პირლომ ეროვნულ ნაკრებთან ერთად მუნდიალი მოიგო, სეზონის ბოლოს კი „როსონერისთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი გახდა.

„გულწრფელად გეტყვით, ამ ყველაფერს ნამდვილად არ ველოდი. უკვე ბევრი რამ მქონდა მოგებული და კარიერა აქამდე რომ დამესრულებინა, ვიტყოდი, წარმატებული ფეხბურთელი ვიყავი-თქო. ერთი წლის განმავლობაში კი მსოფლიოს ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა მოვიგე. ეს ენით აუწერელი სიხარულია. 23 მაისი დაუვიწყარი საღამო გახლდათ. ჩემპიონთა ლიგის მოგება განსაკუთრებული რამ არის, თან „მილანს" ამ ტურნირში წარმატება სისხლში აქვს გამჯდარი" — განაცხადა პირლომ.

შეგახსენებთ, რომ კალჩოპოლის განაჩენით, „მილანს" ჩემპიონთა ლიგაში საერთოდ არ უნდა ეთამაშა, მაგრამ წარმატებული აპელაციის შემდეგ „როსონერიმ" ტურნირი მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო და ბოლომდე მივიდა. სერია A კი მილანელებმა მინუს რვა ქულით დაიწყეს.

„გასულ წლებთან შედარებით, წინა სეზონში რაღაც განსაკუთრებულს მივაღწიეთ. ჩემპიონატი მინუს ქულებით დავიწყეთ და მიუხედავად პრობლემებისა, სეზონი მაინც ტრიუმფით დავასრულეთ. ბევრი ამბობდა, „მილანი" ვეტერანებით არის სავსე, რომელთა კარიერაც უკვე წარსულშია და მათ მოტივაცია აღარ აქვთო. ამან დამატებითი სტიმული მოგვცა და გაბრაზებულნი უფრო უკეთ ავთამაშდით" — დასძინა პირლომ.

**გიორგი კაკაბაძე**

ტრიმოლი
ტაბლეტები
▶ ტკივილგამაყუჩებელი
▶ სიცხის დამწევი
▶ ანთებისსაწინააღმდეგო



ტრიმოლი სამმაგი მოქმედების ფორმულა
▶ პარაცეტამოლი 250მგ
▶ კოფეინი 30მგ
▶ პროპიფენაზონი 150მგ

სხელება, შაკიკი, თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი, მენსტრუალური ტკივილი, ნევრალგია, სხელებით მიმდინარე ინფექციურ-ანთებითი დაავადებები.

ამ პრობლემებს მოგიხსნით
ტრიმოლი

უკუჩვენება:
ექვს წლამდე ასაკის ბავშვები;
კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული;
ბრონქული ასთმა;
პრეპარატის კომპონენტების მიმართ მომატებული მგრძნობელობა;

მიღების წესი და დოზირება:
მოზრდილებში თითო ტაბლეტი 1-4ჯერ დღეში, სასურველია ჭამის შემდეგ. ბავშვებში (ექვსი წლის ზემოთ) ნახევარი ტაბლეტი 1-4ჯერ დღეში.




აჯანტა ფარმა ლიმიტედი – ინდოეთი

ჩემი ოჯახის აფთიაქი
ტრიმოლი სამმაგი მოქმედების ფორმულა

# ოქროს ვარსკვლავი

## მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონი, ბრაზილიელი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი

## ბევრიდან ხუთი და ხუთიდან ერთი



**— ბავშვობაში მსოფლიოს ჩემპიონატებს, ალბათ, გაფაციცებით ადევნებდით თვალს...**

— მსოფლიოს ჩემპიონატი ის მოვლენა გახლდათ, რასაც ყველაზე დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს, მაგრამ არასდროს მიფიქრია, რომ ოდესმე დადგებოდა დღე, როცა ფეხბურთელის ან მწვრთნელის რანგში მისი მონაწილე გავხდებოდი.

**— ახლა, როდესაც უკვე ასაკოვან კაცს სიტყვა მუნდიალი გესმით, რა გაგირბენთ ხოლმე თვალწინ?**

— ახლა, ბუნებრივია, სულ სხვა გრძნობაა. მას მერე, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევსა და ფინალურ შეჯიბრებებში მივიღე მონაწილეობა, ამ ტურნირით კიდევ უფრო მეტი აღფრთოვანება ვიგრძენი. მუნდიალი უდიდესი შეჯიბრებაა, რომელშიც მთელი მსოფლიო მონაწილეობს და მისი წყალობით დედამიწის სხვადასხვა კუთხის შვილები, შესაძლოა, ერთმანეთს დაუმეგობრდნენ. ასეთია ფეხბურთის თვისება. თავისთავად, ფეხბურთი ხომ, კარგად თუ დავაკვირდებით, ცხოვრების მოდელია. აი, რამ მომხიბლა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის დროს.

**— როდესაც 2001 წლის ივლისში, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ ნაკრების გაწვრთნა გთხოვათ, პირველად რა უპასუხეთ?**

— პირველი, რაც გავაკეთე, შესარჩევი შეჯიბრების ცხრილში ჩავიხედე, დავუფიქრდი, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად რამდენი ქულა გვჭირდებოდა, რომელ ფეხბურთელებს უნდა ეთამაშათ, რა იყო ჩვენი მთავარი პრობლემები და სად და რა ვითარებაში იჩენდნენ ისინი თავს. ერთი სიტყვით, სანამ შემოთავაზებას დავთანხმდებოდი, კარგად გამოვიკვლიე, რა შანსი გვქონდა. ვფიქრობ, ის ჩემი კარიერის უბრწყინვალესი პერიოდი იყო, თუმც პირდაპირ მოგახსენებთ, რომ არასდროს, არც ერთ კლუბში, იმ იმედით არ მიმუშავია, რომ კონფედერაციაში შემამჩნევდნენ და ნაკრების გაძღოლას შემომთავაზებდნენ. ნებისმიერ კლუბში ჩემი ერთადერთი ამოცანა ამ კლუბისთვის ტიტულების მოხვეჭა, ჩემებური სათამაშო სტილის შექმნა და მის ისტორიაში ადგილის დამკვიდრება გახლდათ. ასე რომ, როდესაც სელესაოს სათავეში ჩადგომის შესაძლებლობა გამოჩნდა, ჩემს მაშინდელ ასისტენტებთან ერთად დავჯექი და ვიმსჯელე, რა ხდებოდა და რა შეიძლებოდა მომხდარიყო. საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ, მსოფლიოს 17 თუ 18 ჩემპიონატის ისტორიაში, პირველად იდგა საშიშროება იმისა, რომ ბრაზილია ფინალურ ეტაპზე საერთოდ ვერ მოხვდებოდა. თუმცა, ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, ფიქრისა და განსჯის შემდეგ მე და ჩემი ჯგუფი თანამდებობას დავთანხმდით, რადგან ადამიანს დიდი შანსი ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა და მისი გაშვება არ შეიძლება. ჩვენ დავთანხმდით და გადავწყვიტეთ, ყველაფერი, რაც საკლუბო დონეზე გამოგვეცადა და გვენახა, ნაკრებში გადაგვეტანა.

**— რა აკლდა ბრაზილიის მაშინდელ ნაკრებს ყველაზე მეტად?**

— გუნდში ცუდი ატმოსფერო იყო, ფეხბურთელები არ მეგობრობდნენ, მათ არ ესმოდათ, რომ სამშობლოს წარმოადგენდნენ, რის გამოც პირველი, რაც თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ გავაკეთე, გახლდათ მათთვის იმის ახსნა, რომ ისინი ერთი გუნდის წევრები იყვნენ და ეს გაცილებით მნიშვნელოვანი ამბავი იყო, ვიდრე მათი ურთიერთობა ჟურნალისტებთან, კლუბებთან და სხვა ეგოისტური მომენტები. შესარჩევი შეჯიბრების მსვლელობისას, ჩვენ ამ იდეას ვხვეწდით და გაგვიმართლა — მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ მოვხვდით და იქ, თანმოაზრეებად კი არა, ლამის ერთ ოჯახად ჩავედით.

**— და თქვენი გუნდის მთავარი შემადგენლები უკვე შრომა, დისციპლინა და ჟინი იყო, არა?**

— რა თქმა უნდა. მე გელაპარაკებით ოპტიმიზმზე, მუხლჩაუხრელ შრომასა და ერთობლივ მოქმედებათა დინამიკაზე. მთავარი იყო, ნიჭიერ ფეხბურთელებს მუხლჩაუხრელად ემუშავათ და მთელი გულითა და სულით დახმარებოდნენ ნაკლებად ნიჭიერებს, რათა მათთან ერთად მიეღწიათ წარმატებისთვის.

**— მაგრამ თქვენ დიქტატორი შეგარქვეს...**

— როდესაც ჩემი აზრის სისწორეში დარწმუნებული ვარ, სულაც არ ვამბობ იმას, რაც ხალხს უნდა, რომ მოისმინოს. იმავდროულად, როგორც ვატყობ, ხალხს ძალაუფლება და დიქტატურა ერთმანეთში ერევა. მე ძალაუფლებას რომ ვამბობ, თავისთავად არაფერს ვგულისხმობ, საქმეთა მართვის პირდაპირი და მარტივი მეთოდები მაქვს მხედველობაში. ვიცი, ბევრს უნდა კლუბებთან დაკავშირებული სიტუაციებით ისარგებლოს, მაგრამ მე ამის უფლებას არ ვაძლევ და იარლიყებსაც ამიტომ მაწებებენ.

**— ბრაზილიაში ნაკრებს რომ გაუძღვე, მართლა ძალიან მტკიცე ნებისყოფის ადამიანი უნდა იყო. მაგალითად, ესა თუ ის პოპულარული ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ არ წაიყვანო, დიდი პრობლემების პირისპირ დადგები. თუ შეიძლება, ამაზე გვიამბეთ...**

— ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელებისთვის, ფეხბურთელების არჩევასთან დაკავშირებული პრობლემა მართლაც ტიპიურია და ის ჩემს დროსაც შეიქმნა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი გეგმის თანახმად, გუნდს ცოტა სწრაფად უნდა ეთამაშა, მოედნის ყველა მონაკვეთში ემოქმედა, დინამიკური ყოფილიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ რომარიო შინ უნდა დამეტოვებინა. სხვა სტილის თამაში რომ ამერჩია, მაშინ, რომარიოს, ბუნებრივია, წავიყვანდი, მაგრამ ჩემპიონატი იაპონიასა და კორეაში, ანუ კონკრეტულ კლიმატურ პირობებში ტარდებოდა, სხვა გუნდები სწრაფ ფეხბურთს თამაშობდნენ, მათი ჩამორჩენა კი არ შეიძლებოდა და ეს ყველაფერი რომ ავწონე, გადაწყვეტილებაც რომარიოს საწინააღმდეგო მივიღე. იცით, საერთოდ, მწვრთნელი არჩევანს აკეთებს, მერე კი ხან მართლდება, ხანაც მტყუნდება. ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, არჩევანის წინაშე ვიდექი და გადასადგმელი ნაბიჯიც მტკიცედ გადავდგი.

**— ევროპელებს რომ ჰკითხოთ, ბრაზილია ტალანტების ქვეყანაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ერთ გუნდად შედუღაბება ორმაგად ძნელი საქმეა. თქვენ რას გვეტყვით, ინდივიდუალისტების ერთსულოვან კოლექტივად შეკვრა მართლა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული?**

— დიახ, ბრაზილია ყოველთვის ვარსკვლავებით დახუნძლული ქვეყანა იყო და თითოეული მათგანი საოცარი ნიჭით იყო დაჯილდოვებული. ყველაზე ძნელი კი, ტრადიციულად, ამ ვარსკვლავთათვის იმის ახსნაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ ორგანიზაციის ევროპულ დონესთან ექნებათ საქმე. ბრაზილია ევროპული ორგანიზაციითა და ტაქტიკური დახვეწილობით მსოფლიოში საუკეთესო რამ არის, მაგრამ ფეხბურთელთათვის ამის ახსნა მეტად რთულია.

მე ბრაზილიის ნაკრებს ერთი წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი და ამ ხნის განმავლობაში ყველა ღონეს ვხმარობდი, რათა ეს იდეა პრაქტიკაში გამეტარებინა. რა მეთოდს არ ვიყენებდი, მომქონდა ვიდეოჩანაწერები, სტატისტიკური მონაცემები. ხანდახან ფეხბურთელების კლუბების სტატისტიკურ ბაზასაც კი დავყრდნობილვარ. ფეხბურთელებს სულ ერთსა და იმავეს ჩავჩიჩინებდი, რომ ევროპულ ტაქტიკაზე მორგებული ბრაზილიური ტექნიკით, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებოდით და აკი დავამტკიცე კიდეც, რომ მართალი ვიყავი...

...მთელი ჩემპიონატის განმავლობაში თავურით მხოლოდ ერთი გოლი გავუშვით, არადა, თავური ბრაზილიელთათვის ყოველთვის პრობლემა იყო. ტრადიციულად, ევროპული გუნდების წინააღმდეგ გვიჭირდა, მაგრამ გოლი, რომელზეც ახლა მოგახსენებთ, კოსტა რიკამ გაგვიტანა, ყველაზე სამხრეთამერიკულმა გუნდმა, რომელსაც ჩვენი თანამემამულე წვრთნიდა. მერედა, ეს გოლი მაღალი ჩაწოდების შედეგი არ იყო, ეს იყო „გაწოლილი თავური". ამრიგად, ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ თუ გუნდს დაცვა კარგად აქვს ორგანიზებული და ზუსტად იცის, როდის შეუტიოს და როდის დაიხიოს უკან, ის შედეგს მიაღწევს, თორემ, სხვამხრივ, როდესაც ბრაზილიელს ბურთი აქვს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ინდივიდუალიზმის წყალობით გავა ფონს. ბრაზილია ნიჭიერი ფეხბურთელებისთვის ნოყიერი ნიადაგის ქვეყანაა. ეს არის ქვეყანა, სადაც მოთამაშეები საძაგელ გარემოში იზრდებიან, პატარა, ვიწრო, უსწორმასწორო მოედნებზე უხდებათ ბურთის დამორჩილება, ხშირად სამს სამის წინააღმდეგ ან ოთხს ოთხის წინააღმდეგ უწევთ თამაში, პირობები მუდმივ იმპროვიზაციას ითხოვს, რაც დიდი ფეხბურთელების გაზრდას უწყობს ხელს და ამიტომაც ზედმიწევნით შესაფერისია.

**— 2002 წლის ჩემპიონატის წინ, რონალდოს ფიზიკური ფორმის პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, თქვენ მას ენდეთ. როგორ იყო ეს ამბავი?**

— რონალდო რომ კარგად იქნებოდა, ვიცოდი, რადგან ჩემი თანამშრომლები, ექიმები, ფიზიოთერაპევტები და სხვანი მაიმედებდნენ. ისინი მეუბნებოდნენ, რომ თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდოდა, რონალდო ჩემპიონატის წინ 70 პროცენტით იქნებოდა მზად, დანარჩენს კი ტურნირის მსვლელობისას მოუმატებდა. როგორც გახსოვთ, მართლაც ასე მოხდა. ამრიგად, მე ჩემს თანამშრომლებს ვენდობოდი და მათზე დაყრდნობით ვარწმუნებდი თავად რონალდოს, რომ ის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს კარგ ფორმაში იქნებოდა.

**— რა უთხარით ფეხბურთელებს ფინალის წინ? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ამ ფინალამდე ოთხი წლით ადრე, 1998 წელს ფინალში ბრაზილია პარიზში დამარცხდა...**

— ჩვენ პარიზული თამაში გავიხსენეთ, მაგრამ მაშინდელი წაგების მიზეზთა დეტალური ჩხრეკა არ დამიწყია, რადგან რონალდოს ამბის წამოტივტივება აღარ მინდოდა. ერთი სიტყვით, ჩვენ მხოლოდ ფინალისთვის მომზადების პრინციპებზე ვილაპარაკეთ. განსაკუთრებით დიდი დრო ამ თემას თამაშის წინა საღამოს დავუთმეთ. ჩვენს ბანაკში ყველა ყველას ამშვიდებდა და მახსოვს, სასტუმროს 50-მეტრიან დერეფანში ფეხბურთელებმა გოლფიც კი ითამაშეს. მოკლედ, ამოცანა ასეთი იყო: უნდა დაგვესვენა და გონება როგორმე გადაგვერთო 1998 წლის ეპიზოდიდან, რათა მას უარყოფითად არ ემოქმედა. ჩვენ ვსაუბრობდით, როგორ უნდა მოგვეგო ფინალი და ვცდილობდით, ეს თამაში ერთ ჩვეულებრივ, მორიგ მატჩად წარმოგვედგინა.

**— არ უნდა გენერვიულათ, მაგრამ მაინც, რაღაც უნდა დაგვჯდომოდათ, უნდა მოგეგოთ...**

— დიახ, ბრაზილიაში მეორე ადგილზე გასვლა მართლა დიდ წარუმატებლობად ითვლება. მეორე მხრივ, ფეხბურთელები იმდენად მობილიზებულნი იყვნენ, რომ თამაშის სცენარის წინასწარ წარმოდგენა საჭირო არც იყო. ერთადერთი, რაც გავაკეთე, უშუალოდ თამაშის წინ დაფაზე ერთი-ორი [illegible] ხვილე ყურადღება და სულ ეს გახლდათ ჩვენი მომზადება. როდესაც ბრაზილიელები თავიანთი ქვეყნის სახელით მნიშვნელოვან მატჩს ატარებენ, მათ მიმართ სხვა დამოკიდებულება უნდა გქონდეს ვიდრე, მაგალითად, რომელიმე ევროპული კლუბის მიმართ. ბრაზილია სხვა კულტურის ქვეყანაა და მწვრთნელმა მომენტის ძალა უნდა იგრძნოს.

**— ფინალში ამ კულტურამ გაგამარჯვებინათ თუ ფეხბურთელების მენტალიტეტმა?**

— ვფიქრობ, ფინალში გადამწყვეტი როლი ბრაზილიელი ფეხბურთელების ნიჭმა და მათმა ფინალურმა ცივსისხლიანობამ ითამაშა. მათ კარგად იცოდნენ, რომ მთავარი იყო, დაცვაში ყურადღებით ეთამაშათ და გერმანიისთვის გოლის გატანის შესაძლებლობა არ მიეცათ, თორემ, თავად რომ აუცილებლად გაიტანდნენ, ცნობილი ამბავი იყო. ძნელი მისახვედრი მართლაც არ არის, გუნდმა, რომელსაც რონალდო, რივალდო და რონალდინიო ჰყავს, ძალიან უნდა მოინდომოს, გოლი რომ ვერ გაიტანოს. აი, ეს გახლდათ ჩვენი ტაქტიკა. საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოგიტანთ: თუ ის თამაში დაკვირვებით ნახეთ, გეხსომებათ, რომ პირველი გოლი არატიპიური მოქმედების შედეგად გავიდა. კერძოდ, რონალდომ მეტოქეს ბურთი წაართვა. საერთოდ, ხომ გახსოვთ, რა ტიპის ფეხბურთელია რონალდო? იგი მეტოქეს მხოლოდ გვერდით მოსდევს, გეგონება ჩრდილი იყოს და მეტი არაფერი, მაგრამ იმ დღეს იმდენად იყო საერთო-გუნდური თამაშის იდეით შეპყრობილი, რომ არა თუ სდია, ორთაბრძოლაშიც შეჰყვა და ბურთი მოიპოვა, რომელიც შემდეგ რივალდოს გადასცა. შემდეგ რივალდოს დარტყმული მეკარემ მოიგერია და რონალდომ დაამატა.

**— 7 თამაშიდან 7 მოგება, 18 გოლი... ხომ არ მიგაჩნიათ, რომ 2002 წლის ჩემპიონობა 1970 წლის ჩემპიონობის ტოლფასი იყო?**

— მე ხშირად ვამბობ ერთ რამეს და ხალხი ვერ მიგებს. ხუთი გოლიც რომ გაგვეტანა და ჩემპიონები ისე გავმხდარიყავით, ჩემთვის სულერთი იქნებოდა. ვიცი, კარგია, როდესაც ხალხი შენს ფეხბურთს აქებს და ელეგანტურად მიიჩნევს, მაგრამ ყოველთვის ლამაზად თამაში გამორიცხულია. მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე მნიშვნელოვანი სამი ქულის მოპოვება და შემდეგ ეტაპზე გასვლაა, რადგან თუ გავარდი, რაგინდარა ლამაზ ფეხბურთს თამაშობდე, ისტორიაში ვერ შეხვალ და ყველას უმალ დაავიწყდები. 1982 წელს ბრაზილიას ჩინებული ნაკრები ჰყავდა, მაგრამ ჩემპიონი იტალია გახდა...

...2002 წლის სელესაო ბრაზილიის ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი გუნდი იყო. ბრაზილიამ უამრავი დიადი გუნდი შექმნა, მაგრამ ჩემპიონი მათგან მხოლოდ ხუთი გახდა და 2002 წლისა ერთი ამ ხუთთაგანი იყო. ის თითქმის იდეალური გუნდი გახლდათ, მაგრამ, ვიმეორებ, ასეთი რომც არ ყოფილიყო და ისე გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი, მე მაინც ბედნიერი ვიქნებოდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა ამერიკის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# კოპა ამერიკა 2007

## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი





AFP

# ლონდონიდან ივლისამდე

89-ედ შეასკდებიან ხვალ ერთმანეთს სამხრეთამერიკელი ვეშაპები — ბრაზილია და არგენტინა. ბრაზილია იგებს 34:33-ს, ხოლო გოლებში არგენტინა სჯობნის — 142:137.

სამი წლის წინანდელ „კოპა ამერიკას" ფინალშიც ეს გუნდები შეხვდნენ. მატჩი 2:2 დასრულდა და პენალტებში ბრაზილიამ იმარჯვა.

არგენტინამ ბოლოს „კოპა" 1993 წელს მოიგო, მაშინაც მწვრთნელად ალფიო ბასილე ჰყავდა და მექსიკა 2:1 დაამარცხა. „თეთრ-ლურჯები" უკვე 14 წელია, ხელმოცარულები არიან და ჯილდო სწყურიათ. ამასობაში კი, ბრაზილია ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონი (1994, 2002) გახდა და სამჯერ (1997, 1999, 2004) „კოპას" დაეუფლა.

შარშან სექტემბერში, მეტოქეებმა ლონდონში ამხანაგურად ითამაშეს. ეს იყო კარლოს დუნგას მეორე მატჩი მას შემდეგ, რაც ივლისში მწვრთნელად დანიშნეს. ელანოს დუბლით და კაკას გოლით ბრაზილიამ 3:0 მოუგო არგენტინას. ახლა კაკა ტურნირზე არ არის, ელანომ კი ითამაშა ჯგუფის პირველ მატჩში და მერე მწვრთნელმა შემადგენლობიდან ამოაგდო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩილეს ჯგუფში 3:0, მეოთხედფინალში კი 6:1 სძლიეს, დუნგას სამშობლოში მაინც აკრიტიკებენ დაცვითი ტაქტიკის გამო. ბრაზილიელთა აზრით, ასეთი არაბრაზილიური ნაკრები მათ არასოდეს ჰყოლიათ.

„ჩვენ თუ დავიწყეთ კამათი იმაზე, რატომ არ ვთამაშობთ ლამაზ ფეხბურთს, სავარაუდოდ, კიდევ 24 წელი მოგვიწევს ლოდინი მსოფლიოს ჩემპიონობამდე" — თქვა დუნგამ.

ბრაზილია 1970 წლის შემდეგ 24 წელი ელოდა მსოფლიოს ჩემპიონობას. 1994-ში კარლოს ალბერტო პარეირას ხელქვეით მუნდიალი მოიგო და გუნდს სწორედ კარლოს დუნგა კაპიტნობდა.

საპირისპირო ხდება არგენტინის ნაკრებში. შარშან ხოსე პეკერმანის მწვრთნელობით მსოფლიოს ჩემპიონატზე კარლოს ტევესის, ლეო მესის, ერნან კრესპოსა და რომან რიკელმეს გუნდი მძიმე იყო, ახლა კი ლაღი და ხალასია. რიკელმე გერმანია 2006-ის შემდეგ ნაკრებიდან წავიდა, მაგრამ ისევ დაბრუნდა და აგერ, ხუთი გოლიც გაიტანა ამ ტურნირზე. ალფიო ბასილეც უფრო ხშირად ათამაშებს ტევესს და მესის, რომლებიც პეკერმანისას სათადარიგოთა სკამს ხეხავდნენ.

არგენტინამ ხუთივე მატჩი მოიგო და 16 გოლი გაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ერნან კრესპო მეორე ტურში კოლუმბიასთან დაუშავდა და გუნდს გამოაკლდა.

ალფიო ბასილეს გუნდი ფავორიტად მიაჩნიათ, მაგრამ ბრაზილიელები ასე არ ფიქრობენ.

„არ შეიძლება ფავორიტობაზე საუბარი, სანამ თამაში არ დაიწყება — თქვა ელანომ — ორი დიდი გუნდი ხვდება ერთმანეთს და არავინ იცის, რა მოხდება".

„მათ ჰყავთ ნიჭიერი და ექსტრა-კლასის ფეხბურთელები, მაგრამ ჩვენც არანაკლები ბიჭები გვყავს" — განაცხადა ან[illegible].

დუნგას თანაშემწე ჟორჟინიო: „[illegible] ფინალია. ცალკეული სახელ[illegible] თამ[illegible] იგებენ. ჩვენი ფეხბურთელები კარ[illegible] ფ[illegible]ში არიან და თავდაჯერებულობაც არ ა[illegible]ათ. მოედანზე ვნახავთ, ვინაა ფავორიტი".

„ტურნირი მარცხით დავიწყეთ, მაგრამ ფინალში ვართ — აღნიშნა დიეგომ — მიზანი იგივეა, რაც ყოველთვის — ჩემპიონობა! ვიმედოვნებ, სამი წლის წინანდელი განმეორდება. აქ ფავორიტები არ არსებობენ".

თუ არგენტინა მოიგებს, მე-15 „კოპას" მიითვლის და ურუგვაის გაასწრებს. ხოლო ბრაზილიის გამარჯვების შემთხვევაში, მათთვის ეს მერვე თასი იქნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კეთილი იყოს შენი ფეხი, ხავიერ!




AFP

„შესანიშნავი ფეხბურთელი მოვიყვანეთ კლუბში. მჯერა, იგი ჩვენთან ერთად დიდ წარმატებებს მიაღწევს. ხავიერი მხოლოდ 25 წლისაა და ყველა ის საფეხბურთო და პიროვნული თვისება აქვს, რომელსაც ამ გუნდში აფასებენ და პატივს სცემენ. მხოლოდ ბრწყინვალე საფეხბურთო დონით და საგოლე ალღოთი არ გამოირჩევა, ვაჟკაცობით, მოედანზე თავდადებით და საჭირო დროს მსხვერპლის უყოყმანო გაღებითაც რჩეულია. ვსაუბრობთ დიდ მოთამაშეზე, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუზე" დიდებულ სპექტაკლებს დაგვიდგამს" — ასე შეაფასა „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა ხავიერ სავიოლა.

„ბაჩია" გუშინ წარადგინეს „სანტიაგო ბერნაბეუზე" და იგი ამიერიდან „რეალის" ფეხბურთელია.

„უზარმაზარ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. მინდა, რომ მომავალ სეზონში და საერთოდ ყოველთვის, როცა „რეალში" ვიქნები, ხალხი ჩემი თამაშით და გოლებით გავახარო. მადლობა შესანიშნავი მიღებისთვის" — განაცხადა არგენტინელმა პრეზენტაციაზე.

ექსბარსელონელი სავიოლა „სამეფო გუნდში" მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში ითამაშებს და წლიურად 2,5 მილიონ ევროს მიიღებს გასამრჯელოდ.

„კეთილი იყოს, „რეალში" შენი მობრძანება, შეგიძლია, ეს ახლა საკუთარ ოჯახად ჩათვალო" — უთხრა ბოლოს მას კალდერონმა.

**ლადო ხომერიკი**

## მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

**მერვედფინალი**

არგენტინა 3:1 პოლონეთი
ზამბია 1:2 ნიგერია
ჩილე 1:0 პორტუგალია
მექსიკა 3:0 კონგო

**მეოთხედფინალი**

14 ივლისი: ავსტრია — აშშ; ესპანეთი — ჩეხეთი
15 ივლისი: ჩილე — ნიგერია; არგენტინა — მექსიკა

## აშშ

MLS
XVII ტური

ჩიკაგო 0:4 ჰიუსტონი

## ბრაზილია

სერია A
XI ტური

ჟუვენტუდე 1:1 ნაუტიკო
პარანა 1:2 ფიგეირენსე
ვასკო და გამა 1:0 ატლ. პარანენსე

## ბოატენგი იყიდეს

„ტოტენჰემმა" „ჰერტადან" კევინ-პრინს ბოატენგი შეიძინა. გერმანული მედიის ცნობით, „მამლებმა" ბერლინურ კლუბს ხუთი მილიონი გირვანქა ჩაუთვალეს 20 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ.

ბოატენგს გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში ხუთჯერ უთამაშია და მალე ალბათ ბუნდესნაკრებშიც გამოიძახებენ.

## კაპაროსი ბილბაოში

„ბილბაოს" თავკაცი ხოაკინ კაპაროსი გახდა. ბასკურმა კლუბმა ახალი მწვრთნელი მედიას გუშინ წარუდგინა.

51 წლის კაპაროსი ივნისში წავიდა „დეპორტივოდან", „ბილბაოსთან" კი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ლა კორუნიაში ორი სეზონი გაატარა, მანამდე კი „სევილიას" თავკაცობდა ხუთი წელი.

კაპაროსმა ხოსე მანუელ ესნალ პარდო შეცვალა, რომელმაც გუნდი პრიმერადივიზიონიდან გავარდნისგან იხსნა.

## შავ-ლურჯი ხიმენესი

„ინტერი" ლუის ხიმენესის გადაბირებას აპირებს, რომელიც „ლაციოში" თამაშს უარობს. იგი „ტერნანას" ეკუთვნის და რომაულ კლუბში განათხოვრებული იყო. მისი გამოსყიდვა „ლაციოს" უნდოდა, მაგრამ ჩილელმა ნახევარმცველმა იუარა. ამის გამო იგი გუნდმა შეკრებაზე არ წაიყვანა.

„შავ-ლურჯებს" ჩილელი 5 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ.

## ლივერპულმა ბაბელი მიიღო

ამსტერდამის „აიაქსის" ფორვარდი რაიან ბაბელი „ლივერპულში" გადავიდა. ინგლისელები მასში 17 მილიონ ევროს იხდიან. ამის შესახებ ჰოლანდიურმა კლუბმა ოფიციალურად განაცხადა. ბაბელი „ლივერპულთან" ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

იგი ივნისში, ჰოლანდიის 21-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა. „აიაქსში" ბაბელის დებიუტი 2004-ის თებერვალში შედგა, როცა 17 წლის იყო, სულ კი 111 მატჩში 24 გაიტანა.

ეროვნულ ნაკრებში 14-ჯერ უთამაშია და 4 გოლი შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასაპატიმრებელთა სია

## ბრაზილიაში სამ მუშკეტერს ეძებენ

**ბრაზილიის** ფედერალურმა სასამართლომ კია ჯურაბჩიანის, ბორის ბერეზოვსკის და ნოიან ბედროუდის დაპატიმრების ორდერი გასცა.

სამივეს ფულის გათეთრებას აბრალებენ „კორინთიანსის" მეშვეობით.

ბედროუდიც ჯურაბჩიანივით ირანელი ბიზნესმენია. ბერეზოვსკი ლონდონში ცხოვრობს, ხოლო ირანელი საქმოსნები ამჟამად სად არიან, არავინ იცის.

ინტერპოლით მათზე ძებნაა გამოცხადებული, საქმოსანთა ტრიო „მედია სპორტ ინვესტმენტის" წილშია და სწორედ ეს კომპანია ფლობს „კორინთიანსს".

ბრაზილიელი გამომძიებლების თქმით, 2004 წლიდან ჯურაბჩიანმა და მისმა საძმომ შავბნელი საქმეების კეთება დაიწყეს და გაურკვეველი წარმოშობის დიდი რაოდენობის ფული გაათეთრა. „მედია სპორტის" საბანკო ანგარიშები გაყინულია და მათ შორის „კორინთიანსისაც".

კლუბის დირექტორატის წევრებს გამომძიებლებთან სიარული მოუწევთ. ჯურაბჩიანი განაგებს კარლოს ტევესის კონტრაქტსაც, რომელიც ხავიერ მასკერანოსთან ერთად შარშან მიჰყიდა „ვესტ ჰემს" და შემდეგ ამ კლუბის ყიდვაც უნდოდა.

გუშინ ბორის ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ არანაირი კავშირი არა აქვს არც ტევესთან, არც „კორინთიანსთან" და ადვოკატებს დაპატიმრების ორდერის თაობაზე არაფერი უთქვამთ.

ბერეზოვსკის აზრით, ეს ყველაფერი კრემლის და რუსეთის მთავრობის ხრიკებია, რომელსაც ლონდონში გაექცა.

**ვაჟა ხუციშვილი**



AFP

ბორის ბერეზოვსკი და კია ჯურაბჩიანი

# რიკელმე ახლოსაა



**ხუან რომან რიკელმე** „ატლეტიკოში" გადასვლასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა. მადრიდელები ახლა „ვილიარეალთან" მოლაპარაკებას აწარმოებენ, რათა არგენტინელმა გაისად „ვისენტე კალდერონზე" ითამაშოს.

ესპანეთის სატახტოში არიან რიკელმეს აგენტები, რომლებმაც, „მარკას" ცნობით, „ათლეტებთან" ყველაფერი მოაგვარეს და ახლა მხოლოდ კლუბთა შორის შეთანხმებაა საჭირო.

მადრიდული კლუბი „ვილიარეალს" „რომის" სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს სთავაზობს, თუმცა, ესპანური მედიის ვერსიით, სატრანსფერო გარიგება უფრო იაფადაც შეიძლება შედგეს.

მეორე ექსვილიარეალელი დიეგო ფორლანი კი უკვე „ატლეტიკოს" ფეხბურთელია და არგენტინელის ტრანსფერს მოუთმენლად ელის.

„რიკელმე დიდი ფეხბურთელია და ვისურვებდი, რაც შეიძლება, მალე დაეწყოს ჩვენს კლუბში თამაში, თუმცა ეს „რომიზეა" დამოკიდებული" — აღნიშნა ურუგვაელმა.

„მარკასთან" ინტერვიუში, ფორლანმა მომავალი პრიმერას მადრიდულ ჯახზეც ისაუბრა. 2007-08 წლების ლა ლიგაში „ატლეტიკოს" პირველი შეხვედრა თანაქალაქელ „რეალთან" უწევს, დიეგო ფორლანს კი სჯერა, რომ „ათლეტები" „სამეფო თეთრებს" დაამარცხებენ.

„პირველად „რეალს" უნდა შევხვდეთ? ძალიან რთული მატჩი იქნება, მაგრამ ჩვენ მოვიგებთ" — თქვა ოკეანისგაღმელმა მოიერიშემ.

**ლადო ხომერიკი**

# ბარსელონამ რეალს პეპე უსაყვედურა

**მადრიდის** „რეალმა" ბრაზილიელ მცველ პეპეში „პორტუს" 28 მილიონი ევრო გადაუხადა. თანხა ცენტრალური უკანახაზელისთვის სარეკორდოა და ეს არც მეტოქე ბანაკში გამოჰპარვიათ.

„ჩვენ გაბი მილიტოში „სულ" 17 მილიონი ევრო გადავიხადეთ. მართალია, გაისად „ბარსას" მიერ მოგებული ტიტულების გათვალისწინებით, კიდევ 3,5 მილიონი უნდა მივცეთ „სარაგოსას", მაგრამ „რეალის" მიერ პეპეში დახარჯული თანხა მაინც გადაჭარბებულად მეჩვენება. რასაკვირველია, თავის არჩევანში ყველა თავისუფალია და ვისაც რამდენი უნდა, იმდენს გადაიხდის, თუმცა ამან შეიძლება სატრანსფერო ბაზარზე ფასების კატასტროფული ზრდა გამოიწვიოს" — თქვა „ბარსელონას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ.

გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ „ბარსას" ფანკლუბის წევრის „რეალში" მწვრთნელობა ისტორიული ფაქტია: „ადრე ასეთი რამ არასდროს ყოფილა. მინდა, ბერნდ შუსტერს ამისთვის მადლობა ვუთხრა. თითქოს ანეგდოტური ამბავია, მაგრამ სასიამოვნოა, რომ „ბერნარდო" „კამპ ნოუზე" გატარებულ წლებს არ ივიწყებს და „რეალში" მწვრთნელობის მიუხედავად, მაინც ჩვენი გუნდის პატივისმცემელი რჩება. იგი დიდი ფეხბურთელი იყო და როგორც პიროვნებაც მისაბაძია."

კატალონიურ მედიასთან საუბარში ხუან ლაპორტას არც ხავიერ სავიოლა დავიწყებია...

„ხავიერს ყოველივე სიკეთეს ვუსურვებ და მინდა, მისი სპორტული ბიოგრაფია „რეალშიც" ისევე წარიმართოს, როგორც „ბარსაში".

**ლადო ხომერიკი**



# პირველი იტალიელი მეშახტე უკრაინაში

**„ლივორნოს"** კაპიტანი, თილისმა და ბომბარდირი კრისტიანო ლუკარელი დონეცკის „შახტარში" გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იტალიურ კლუბთან ხელშეკრულება 2010-მდე ჰქონდა, მაგრამ რამდენიმე თვის წინ თქვა, რომ სეზონის ბოლოს წავიდოდა. „შახტარმა" 6 მილიონი გირვანქა გადაიხადა, ფორვარდი კი წელიწადში 2 მილიონ 800 ათასს მიიღებს.

ლუკარელი „ლივორნოში" 2003 წლიდან თამაშობდა. 146 მატჩში 94 გოლი გაიტანა, მათ შორის 20 წინა სეზონში. იგი პირველი იტალიელია უკრაინის ჩემპიონატში, რომელიც გუშინ დაიწყო. პირველ ტურში ხვალ „შახტარი" კიევის „დინამოს" მასპინძლობს, მაგრამ კრისტიანო ლუკარელი არ ითამაშებს, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის კი მზად იქნება. მეგოლის დებიუტი იტალიის ნაკრებში 2005 წლის ივნისში შედგა. მის კარიერაში კი „ლივორნომდე" იყო „პერუჯა", „კოზენცა", „პადოვა", „ატალანტა", „ლეჩე", „ტორინო" და „ვალენსია".

**ვაჟა ხუციშვილი**

## აეროპლანინოს დაბრუნება

**იტალიური** მედიის ცნობით, ვინჩენცო მონტელა დღეს „სამპდორიას" ფეხბურთელი გახდება.

„რომას" ფორვარდი წინა სეზონში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და „ფულემში" გაანათხოვრეს.

მონტელა, მეტსახელად „აეროპლანინო", „სამპდორიაში" 1996-99 წლებში თამაშობდა და 54 გოლით დაამახსოვრა თავი.

## გაცვლა იტალიურად

**„პარმამ"** „ლივორნოდან" სტეფანო მორონე გადაიყვანა და სანაცვლოდ მეკარე ალფონსო დე ლუჩია დაუთმო. მორონემ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ლივორნომდე" მას „კიევოსა" და „პალერმოში" უთამაშია.

23 წლის დე ლუჩიამ გასულ სეზონში 13 მატჩი ჩაატარა. მეკარის მისვლის გამო, „ლივორნომ" შეიძლება მარკო ამელია გაუშვას.

## იანჩიკი ოთხ მილიონად

**ვარშავის** „ლეგიას" ფორვარდი დავიდ იანჩიკი ცსკა-მ იყიდა. 19 წლის ფეხბურთელი მოსკოვურ კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. მის სანაცვლოდ კი რუსებმა 4 მილიონი ევრო გადაიხადეს.

იანჩიკი კანადაში 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო, სადაც პოლონეთი მერვედფინალში გუშინწინ არგენტინასთან 1:3 დამარცხდა და წაგებულთაგან გოლი სწორედ ცსკა-ს ახალშეძენილმა გაიტანა. სულ კი ტურნირზე სამი მოუგროვდა.

## პლატინი უკრაინა-რუსეთს აერთებს

**უეფას** ყოფილმა პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა თქვა, მიშელ პლატინის რუსეთისა და უკრაინის საუკეთესო კლუბებისგან სუპერლიგის შექმნა სურსო.

„ამის გამო კითხვა გამიჩნდა — განაცხადა იუჰანსონმა — დანარჩენ გუნდებს რას უპირებს? როგორ გაირკვევა თითოეული ქვეყნის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის მონაწილე კლუბები? უეფას ამჟამინდელ პრეზიდენტს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს, თუმც სუპერლიგა ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა".

## პუროვიჩს სპორტინგი უხარია

**„ცრვენა ზვეზდას"** ჩერნოგორიელი ფორვარდი მილან პუროვიჩი ლისაბონის „სპორტინგში" გადავიდა და ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

პორტუგალიურმა კლუბმა 2 მილიონი ევრო გადაიხადა, ფეხბურთელი კი წელიწადში 500 ათასს მიიღებს.

„ძალიან მიხარია „სპორტინგში" გადასვლა, რომელიც ახალგაზრდებს შანსს აძლევს" — თქვა 22 წლის პუროვიჩმა.

## ბრავო პირეოსში

**პირეოსის** „ოლიმპიაკოსმა" მადრიდის „რეალიდან" რაულ ბრავო იყიდა. 26 წლის ესპანელი მცველი ბერძნებს 2 მილიონ 300 ათასი ევრო დაუჯდათ.

ბრავომ „ოლიმპიაკოსთან" ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. მას ესპანეთის ნაკრებში 14 მატჩი უთამაშია.

## ვან ჰანეგემი უტრეხტის ტახტზე

**„უტრეხტის"** მწვრთნელად ვილი ვან ჰანეგემი დანიშნეს და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

63 წლის ვან ჰანეგემმა, ვისაც 1974-ში მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია, ფოეკე ბოოი შეცვალა.

ბოოიმ ოთხი სეზონი გაატარა „უტრეხტში" და საუდეთის „ალ ნასრიში" წავიდა.

ვილი ვან ჰანეგემს „ფეიენოორდში", „სპარტასა" და „ალკმაარში" უმუშავია. ევრო 2004-ზე იგი ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე იყო. 1979-1982 წლებში კი „უტრეხტში" თამაშობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 6 | ალტახი-რიდი | 2.55 | 3.10 | 2.40 | 1.39 | 1.23 | 1.35 |
| 21:30 | 7 | აუსტრია-ლინცერი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 21:30 | 10 | ტიროლი-შტურმი | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 9 | ავსტრია კ-ზალცბურგი | 4.30 | 3.30 | 1.75 | 1.86 | 1.24 | 1.14 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 16:00 | 52 | ამკარი-სპარტაკი მ | 3.65 | 2.90 | 2.05 | 1.61 | 1.31 | 1.20 |
| 14:00 | 53 | ცსკა მ-დინამო მ | 2.05 | 3.10 | 3.35 | 1.23 | 1.27 | 1.61 |
| 12:00 | 54 | ენერგია-სატურნი | 2.15 | 2.70 | 3.75 | 1.19 | 1.36 | 1.56 |
| 20:00 | 55 | ყუბანი-ხიმკი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 16:30 | 56 | კრილია-ნალჩიკი | 1.65 | 3.10 | 5.50 | 1.07 | 1.26 | 1.98 |
| 14:00 | 57 | ტომსკი-მოსკოვი | 2.45 | 2.70 | 3.05 | 1.28 | 1.35 | 1.43 |
| 19:00 | 58 | ზენიტი-როსტოვი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 11 | ჟილინა-ტრენჩინი | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| 21:30 | 15 | კოშიცე-სინეცი | 1.60 | 3.30 | 4.90 | 1.07 | 1.20 | 1.97 |
| 21:30 | 16 | ნიტრა-ბ.ბისტრიცა | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 12:30 | 12 | არტმედია ბრ-ზლატე მორავცე | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 22:00 | 14 | რუჟომბეროკი-ტრნავა | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 23 | ტრელებორგი-გაის | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 24 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| | | 16 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 25 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 21:00 | 26 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 27 | ჰეკენი-სილვია | 1.45 | 3.90 | 6.20 | 1.05 | 1.17 | 2.39 |
| | | 16 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 28 | ფალკენბერგი-მიალბი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 21:00 | 29 | ნორჩიოპინგი-დეგერფორსი | 1.30 | 4.60 | 8.50 | 1.01 | 1.12 | 2.98 |
| 21:00 | 30 | იოსტერსი-ენჩიოპინგი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 32 | მარიეჰამნი-ოულუ | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 19:30 | 33 | ვპს-ლაჰტი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | 16 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 34 | ტურკუ-კტპ | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| | | ისლანდია | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 35 | ჰაფნაფიორდული-აკრანესი | 1.40 | 4.00 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.44 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 23:15 | 36 | კეფლავიკი-რეიკიავიკი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 22:45 | 43 | სლიგო-გალვეი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | 16 ივლისი | | | | | | |
| 23:00 | 42 | შემროკი-დუბლინი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 47 | ნიუ იორკი-ნიუ ინგლენდი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 48 | ვაშინგტონი-დალასი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 49 | კანზასი-სოლტ ლეიკი | 1.65 | 3.30 | 4.60 | 1.10 | 1.21 | 1.92 |
| 23:45 | 50 | ჩივასი-კოლამბუსი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 51 | ჰიუსტონი-ტორონტო | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 23:00 | 62 | სანტოსი-ბოტაფოგო | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 23:00 | 63 | სპორტ რისაიფო-ატლეტიკო მნ | 2.05 | 3.20 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.58 |
| 23:00 | 64 | გრემიო-პალმეირასი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:45 | 65 | ამერიკა-ინტერნასიონალი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 23:45 | 66 | კორინთიანსი-სან პაულუ | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 23:45 | 67 | კრუზეირო-გოიასი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | ამერიკის თასი | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 134 | მექსიკა-ურუგვაი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 135 | არგენტინა-ბრაზილია | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი(20) | | | | | | |
| | | კანადა | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 22:15 | 108 | აშშ 20-ავსტრია 20 | 1.80 | 3.10 | 3.45 | 1.13 | 1.18 | 1.63 |
| 23:45 | 136 | ჩეხეთი 20-ესპანეთი 20 | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 71 | შალკე-მიდლსბრო (ნ) | 1.95 | 3.20 | 3.05 | 1.21 | 1.18 | 1.56 |
| 21:00 | 72 | ვერდერი-ბაზელი (ნ) | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 73 | ამერიკა-ჩელსი (აშშ) | 4.40 | 3.10 | 1.65 | 1.81 | 1.20 | 1.07 |
| 15 ივლისი | | | | | | | | |
| 17:00 | 109 | ჰამბურგი-ბეშიქთაში (ნ) | 2.30 | 3.10 | 2.50 | 1.32 | 1.19 | 1.38 |
| | | ევროპის ჩემპიონატი (19) | | | | | | |
| | | ავსტრია | | | | | | |
| | | 16 ივლისი | | | | | | |
| 19:15 | 150 | საბერძნეთი 19-პორტუგალია | 163.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 20:00 | 151 | საფრანგეთი 19-სერბეთი 19 | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 20:00 | 152 | გერმანია 19-რუსეთი 19 | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 22:00 | 153 | ავსტრია 19-ესპანეთი 19 | 6.30 | 3.70 | 1.45 | 2.33 | 1.17 | 1.04 |
| | | იაპონია. თასი | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 13:30 | 91 | ტოკიო-იოკოჰამა ფმ | 2.05 | 3.20 | 2.65 | 1.24 | 1.15 | 1.44 |
| 14:00 | 92 | გამბა-ურავა | 1.90 | 3.20 | 2.90 | 1.19 | 1.14 | 1.52 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 13:30 | 93 | კაშიმა-ჰიროსიმა | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 14:00 | 94 | კავასაკი-კოფუ | 1.55 | 3.40 | 5.80 | 1.06 | 1.22 | 2.14 |
| | | ინტერტოტოს თასი | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 137 | კლიფტონვილი-გენტი | 3.75 | 3.40 | 1.80 | 1.78 | 1.21 | 1.17 |
| 18:00 | 138 | ჰამარბი-კორკი | 1.45 | 4.00 | 5.60 | 1.06 | 1.15 | 2.33 |
| 19:00 | 139 | გლორია ბისტრიცა-მაკაბი ჰ | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 19:00 | 140 | ჰაიდუკი კულა-მარიბორი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 141 | ოცელული-სლავია სარაევო | 1.25 | 4.70 | 7.50 | 1.00 | 1.07 | 2.88 |
| 19:00 | 142 | რუბინი-ზალაეგერსი | 1.35 | 4.20 | 5.70 | 1.02 | 1.09 | 2.41 |
| 19:45 | 143 | სტ.გალენი-დაჩია | 1.12 | 6.50 | 11.00 | 1.00 | 1.01 | 4.08 |
| 20:00 | 144 | ჩერნო მორე-მაკედონია | 1.40 | 4.10 | 5.20 | 1.04 | 1.10 | 2.29 |
| 21:00 | 145 | ოლბორგი-ჰონკა | 1.45 | 4.00 | 5.60 | 1.06 | 1.15 | 2.33 |
| 22:00 | 146 | ვლაჟნია-ტრაბზონი | 3.00 | 3.20 | 2.00 | 1.54 | 1.20 | 1.23 |
| 22:15 | 147 | სლოვანი ბრ-რაპიდი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 148 | შახტერ სოლ-ჩერნომორეცი | 2.45 | 3.00 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |
| 20:00 | 149 | სლოვან ლიბერეცი-ტობოლი | 1.15 | 5.60 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.58 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10023 | ტრელებორგი-გაის | 2.70 | 2.00 | 3.15 | 1.14 | 1.45 | 1.22 |
| 10024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 2.50 | 2.00 | 3.50 | 1.11 | 1.45 | 1.27 |
| 10025 | ჰალმსტადი-იორებრო | 2.05 | 2.20 | 5.20 | 1.06 | 1.47 | 1.54 |
| 10026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 2.75 | 2.10 | 3.15 | 1.19 | 1.46 | 1.25 |
| 10027 | ჰეკენი-ხილვია | 1.85 | 2.30 | 6.30 | 1.02 | 1.43 | 1.68 |
| 10043 | ხლიგო-გალვეი | 2.25 | 2.10 | 4.30 | 1.08 | 1.47 | 1.41 |
| 10052 | ამკარი-სპარტაკი მ | 4.00 | 2.00 | 2.45 | 1.33 | 1.51 | 1.10 |
| 10053 | ცსკა მ-დინამო მ | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10054 | ენერგია-სატურნი | 2.65 | 1.90 | 3.85 | 1.10 | 1.56 | 1.27 |
| 10055 | ყუბანი-ხიმკი | 2.45 | 1.90 | 4.00 | 1.07 | 1.51 | 1.26 |
| 10056 | კრილია-ნალჩიკი | 2.15 | 2.00 | 5.90 | 1.33 | 1.57 | 1.49 |
| 10057 | ტომსკი-მოსკოვი | 2.85 | 1.90 | 3.50 | 1.13 | 1.57 | 1.23 |
| 10058 | ზენიტი-როსტოვი | 1.50 | 2.70 | 6.50 | 1.00 | 1.21 | 1.90 |
| 10134 | მექსიკა-ურუგვაი | 2.50 | 2.00 | 3.55 | 1.11 | 1.46 | 1.27 |
| 10135 | არგენტინა-ბრაზილია | 2.35 | 2.10 | 3.85 | 1.10 | 1.45 | 1.35 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12023 | ტრელებორგი-გაის | 1.70 | 1.90 |
| 12024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 1.90 | 1.70 |
| 12025 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.90 | 1.70 |
| 12026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.70 | 1.90 |
| 12027 | ჰეკენი-ხილვია | 1.70 | 1.90 |
| 12043 | ხლიგო-გალვეი | 1.60 | 2.00 |
| 12052 | ამკარი-სპარტაკი მ | 1.60 | 2.00 |
| 12053 | ცსკა მ-დინამო მ | 1.65 | 1.95 |
| 12054 | ენერგია-სატურნი | 1.60 | 2.00 |
| 12055 | ყუბანი-ხიმკი | 1.60 | 2.00 |
| 12056 | კრილია-ნალჩიკი | 1.60 | 2.00 |
| 12057 | ტომსკი-მოსკოვი | 1.60 | 2.00 |
| 12058 | ზენიტი-როსტოვი | 1.95 | 1.60 |
| 12134 | მექსიკა-ურუგვაი | 1.90 | 1.70 |
| 12135 | არგენტინა-ბრაზილია | 2.00 | 1.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15023 | ტრელებორგი-გაის | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ჰალმსტადი-იორებრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | ჰეკენი-ხილვია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 | ხლიგო-გალვეი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | ამკარი-სპარტაკი მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | ცსკა მ-დინამო მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | ენერგია-სატურნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15055 | ყუბანი-ხიმკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15056 | კრილია-ნალჩიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15057 | ტომსკი-მოსკოვი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | მექსიკა-ურუგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | არგენტინა-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### გოლი: ლუწი-1, კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17023 | ტრელებორგი-გაის | 1.85 | 1.95 |
| 17024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.85 | 1.95 |
| 17026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 17027 | ჰეკენი-ხილვია | 1.85 | 1.95 |
| 17043 | ხლიგო-გალვეი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | ამკარი-სპარტაკი მ | 1.85 | 1.95 |
| 17053 | ცსკა მ-დინამო მ | 1.85 | 1.95 |
| 17054 | ენერგია-სატურნი | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ყუბანი-ხიმკი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | კრილია-ნალჩიკი | 1.85 | 1.95 |
| 17057 | ტომსკი-მოსკოვი | 1.85 | 1.95 |
| 17058 | ზენიტი-როსტოვი | 1.85 | 1.95 |
| 17134 | მექსიკა-ურუგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17135 | არგენტინა-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |

### ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16023 | ტრელებორგი-გაის | 1.62 | 2.05 |
| 16024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 1.50 | 2.30 |
| 16025 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.22 | 3.40 |
| 16026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.65 | 2.05 |
| 16027 | ჰეკენი-ხილვია | 1.14 | 4.70 |
| 16043 | ხლიგო-გალვეი | 1.32 | 3.00 |
| 16052 | ამკარი-სპარტაკი მ | 2.45 | 1.40 |
| 16053 | ცსკა მ-დინამო მ | 1.45 | 2.45 |
| 16054 | ენერგია-სატურნი | 1.58 | 2.10 |
| 16055 | ყუბანი-ხიმკი | 1.45 | 2.45 |
| 16056 | კრილია-ნალჩიკი | 1.24 | 3.60 |
| 16057 | ტომსკი-მოსკოვი | 1.75 | 1.85 |
| 16134 | მექსიკა-ურუგვაი | 1.50 | 2.30 |
| 16135 | არგენტინა-ბრაზილია | 1.40 | 2.55 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

| | | | |
|---|---|---|---|
| 14023 | ტრელებორგი-გაის | 1.80 | 2.00 |
| 14024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 1.75 | 2.10 |
| 14025 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.30 | 2.50 |
| 14026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.80 | 2.00 |
| 14027 | ჰეკენი-ხილვია | 1.30 | 2.50 |
| 14043 | ხლიგო-გალვეი | 1.65 | 2.30 |
| 14052 | ამკარი-სპარტაკი მ | 2.20 | 1.70 |
| 14053 | ცსკა მ-დინამო მ | 1.75 | 2.10 |
| 14054 | ენერგია-სატურნი | 1.80 | 2.00 |
| 14055 | ყუბანი-ხიმკი | 1.75 | 2.10 |
| 14056 | კრილია-ნალჩიკი | 1.45 | 2.40 |
| 14057 | ტომსკი-მოსკოვი | 1.85 | 1.95 |
| 14134 | მექსიკა-ურუგვაი | 1.75 | 2.10 |
| 14135 | არგენტინა-ბრაზილია | 1.70 | 2.20 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

კალათბურთი

# ორაზროვანი ყურადღება

## ნიკა ცქიტიშვილი ნბა-ს მდინარეში მეორედ შესვლას ცდილობს



**ნიკა ცქიტიშვილი** „დენვერის" ხუთეულს დაუბრუნდა, მაგრამ ლასვეგასური აუდიტორია ქართველმა ფორვარდმა მაინც ვერ აალაპარაკა. საზაფხულო ლიგის მორიგ მატჩში „დეტროიტის" წინააღმდეგ „სკიტამ" 17 წუთი ითამაშა და მხოლოდ 4 ქულას დასჯერდა. ერთადერთი, რაც ნიკას გამოსდიოდა, ფარიდან ასხლეტილი ბურთების მოხსნა იყო და მან მთლიანობაში 6 გზაამნეული ბურთი მოიხელთა, მისმა გუნდმა კი დეტროიტელები 92:84 დაამარცხა.

ალბათ თითო-ოროლა მოთამაშეს თუ ექცევა იმხელა ყურადღება ლას ვეგასში, რამდენიც ნიკა ცქიტიშვილს. ქართველი ფორვარდი გადასარევად ვერ თამაშობს, მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ოდესღაც დრაფტის მე-5 ნომრადაა არჩეული და თავის დროზე ნბა-ში 4 წელი გაუტარებია. დენვერულმა პრესამ ბოლო დღეებში არაერთი ვრცელი სტატია მიუძღვნა ნიკა ცქიტიშვილს, სადაც კარგთან ერთად მასზე სამართლიან კრიტიკასაც ამოიკითხავდით.

ამ სტატიების მთავარი მოტივი „სკიტას" ნბა-ში დაბრუნების ალბათობა იყო. შეძლებს თუ არა ნიკა თავისი ზემონაცემების შედეგიან თამაშში გარდასახვას და გახდება თუ არა იგი ნბა-ს სრულფასოვანი ბინადარი? აი, საკითხები, რომლებზეც ჟურნალისტებთან ერთად პროფესიული ლიგის უცნობილესი მწვრთნელები — მაიკ დანტონი და ჯორჯ კარლი მსჯელობდნენ. დანტონი იმ „ბენეტონის" თავკაცი იყო 2002 წელს, საიდანაც ნიკა დრაფტზე მოხვდა. კარლი კი „დენვერის" მწვრთნელია.

ერთი სიტყვით, ცქიტიშვილზე ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს. არავინ იცის, მას ნბა-ში თამაშის შანსი კიდევ რომ მიცეს, გამოიყენებს თუ არა. ლას ვეგასის საზაფხულო ლიგის სადებიუტო მატჩში ნიკას არ უშავდა, თუმც მომდევნო ორში თავი ვერ ისახელა.

„დენვერს" კიდევ ორი შეხვედრა დარჩა სათამაშო — „ლეიკერსთან" და „კლიპერსთან".

**ირაკლი პერტაია**




დუაიტ ჰოვარდი და ორლანდოელთა დამრიგებელი სტენ ვან განდი

# მეჯიქის ჯადოსნური საგადო

**„ორლანდო მეჯიქმა"**, ეტყობა, სადღაც ფულის საბადოს მიაგნო, თორემ ასეულობით მილიონი დოლარის კონტრაქტების ასეთი უდრტვინველობითა და ტემპებით ჩამორიგების უფლებას თავს როგორ მისცემდა. ფლორიდელებმა სიეტლელ ისე-რა ვარსკვლავ რაშარდ ლუისში 110 მილიონის გაღების მეორე დღეს 80-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმეს 21 წლის ფორვარდ-ცენტრ დუაიტ ჰოვარდს.

ასე და ამგვარად, ამ ორ დღეში ორლანდოელებმა ჯამში 190 მილიონი დოლარის ღირებულების ორი ხელშეკრულება გააფორმეს. ლუისმა 110 მილიონი 6 წლის მანძილზე უნდა აიღოს, ჰოვარდმა კი 80 მილიონის გამომუშავებისთვის 5 წელი უნდა ღვაროს ოფლი.

თუ ლუისს თავისი საუკეთესო წლები უკან მოუტოვებია და შედეგიანობის გაუმჯობესების მინიმალური შანსი აქვს, დუაიტ ჰოვარდი თვალს და ხელს შუა იზრდება. ის 2004 წლის დრაფტზე პირველ ნომრად აიყვანა „ორლანდო მეჯიქმა" და მას მერე ჰოვარდი ყოველ სეზონში აუმჯობესებდა პირად სტატისტიკას. გასულ სეზონში მისმა საშუალო მონაგარმა 17,6 ქულას მიაღწია და ფლორიდელებიც დუაიტისგან უფრო მეტს ელიან.

**ირაკლი პერტაია**

ჭიდაობა

# კლასიკური შაბათი და თავისუფალი კვირა



„ქარიშხალას“ დარბაზში სამი ხალიჩაა გაშლილი. დღესხვალ მასზე ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გავლენ და ქართული ჭიდაობის ლეგენდების, გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირს იჭიდავებენ. ტრადიციული თბილისური პირველობის ტრადიციულ ადგილზე, სპორტის სასახლეში ჩატარება წლეულს სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო ადრიანადვე გამოირიცხა. ერთხანს მისი გამართვა სათუოც გახდა, თუმცა მერე ორგანიზატორებმა ტურნირის ერთი წლით შეჩერებას შედარებით მოკრძალებულ დარბაზში ჩატარება არჩიეს. ამის გამო გაჩნდა ეჭვი, რომ ბევრი უცხოელი ჩამოსვლისგან თავს შეიკავებდა, მაგრამ იმხელა ინტერესი გაჩნდა, საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაშიც რომ ნაკლებად ელოდნენ.

ხალიჩაზე ქართველების გარდა 13 ქვეყნის 125 მოჭიდავე გავა. თადარიგი ყველაზე ადრე იაპონელებმა, ჩინელებმა და სომხებმა დაიჭირეს, თბილისში ათი დღის წინ ჩამოვიდნენ და დასკვნითი შეკრება ჩვენს ნაკრებებთან ერთად გლდანში, ოლიმპიური რეზერვების ცენტრში გაიარეს. ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, უზბეკეთის, რუსეთის, საბერძნეთის, ინდოეთისა და თურქეთის დელეგაციები თბილისს გუშინწინ და გუშინ ესტუმრნენ.

საქართველოს ნაკრებების თავკაცებმა ბეგი დარჩიამ და ზაზა თურმანიძემ წინასატურნირო შეკრებაზე 30-30 კლასიკოსი და თავისუფალი იახლეს, ძირითადად საქართველოს ჩემპიონატის ჩემპიონპრიზიორები. ტურნირზე კი თითოეული სახეობის თითოეულ წონაში 6-7 ქართველი იჭიდავებს. მასპინძლებისთვის დამატებითი სტიმული საქართველოს ნაკრებში ადგილის მოპოვება იქნება. ამ უქმეებზე შიდა კონკურენციაშიც ბევრი რამ გაირკვევა და საუკეთესოდ თავის წარმომჩენი მასპინძლები სასექტემბრო მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებს მიუახლოვდებიან. ამიტომაცაა, რომ საჭიდაოდ ყველა ტიტულიანი ქართველი გავა. გამონაკლისები მხოლოდ ბერძენრომაელები, მანუჩარ კვირკველია და რამაზ ნოზაძე იქნებიან. ევროპის მოქმედ ჩემპიონებს ევროტრავმები ბოლომდე ჯერ არ მოუშუშებიათ და მწვრთნელები რისკს მოერიდნენ.

დღეს ხალიჩები მთლიანად კლასიკოსებს დაეთმობათ. დილის ცხრა საათიდან წინასწარი შეხვედრები დაიწყება. ოთხზე ტურნირის გახსნის საზეიმო ცერემონიაა დაგეგმილი, ხოლო ხუთი საათიდან შვიდივე წონითი კატეგორიის დასკვნითი ბრძოლები გაიმართება. ხვალინდელი დღე კი თავისუფლების იქნება.

**ოთარ ჩალაძელიძე**

სუმო



ხაკუხომ მორიგი მოწინააღმდეგე დასცა

AFP

## შავი ზღვა ივლისში მშვიდია

### კოკაი კარგს და ცუდს ერთმანეთს უნაცვლებს

**თუ ასე** გაგრძელდა, ლევან ცაგურია ივლისის ბაშოს მინიმალური დადებითი ბალანსით დაასრულებს. კოკაისთვის ჯერჯერობით აიტური დოჰიო ერთფეროვანზე ერთფეროვანია. ექვსი ტური ისე გაილია, ჩვენებურს ზედიზედ ორჯერ არც მოუგია და არც წაუგია. გუშინ ქართველმა სუმოტორმა მესამე მარცხი იწვნია და ქულიანი პლუსბალანსიც მესამედ გაანიავა. კოკაიმ მაკუტის ყველაზე ახალგაზრდა რიკისის, ტოჩიოძანის სწრაფ სასტარტო შეტევაზე კონტრშეტევით სცადა პასუხი, მაგრამ შეცდომა დაუშვა და წამგებიან ილეთზე წამოეგო.

დღეს „შავი ზღვა“ მაეგაშირა ტოიოხიბიკისთან ეცდება აიტური ტრადიციის გაგრძელებას, თუმცა ამ მეტოქის ივლისის ნაჭიდავებს თუ შევხედავთ, საკმაოდ მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევს. უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტ ტოიოხიბიკის ექვსი შესაძლებლიდან ხუთი ქულა აქვს და წაუგებელი ლიდერების მდევარ ჯგუფში იწონებს თავს. გუშინ მან 35 წლის ექსსეკივაკე ტამაკასუგას დაახრევინა თავი.

თითოწაგებიანთა რიგებს გუშინ ბულგარელი ოძეკი კოტოოსიუ გამოაკლდა. „ბალკანელი გულივერი“ თავისზე დაბალრეიტინგიანმა ვაკანოსატომ დაამწუხრა. იოკოძუნა ასასიორიუმ, ოძეკი კაიომ და რიგითმა მაეგაშირა ხომასიომ კი, ტოიოხიბიკის მსგავსად, მეხუთედ გაიხარეს.

წაუგებლები ისევ იოკოძუნა ხაკუხო და სეკივაკე კოტომიცუკი არიან. მეექვსე ტურში „თეთრმა ფენიქსმა“ ექსკომუსუბი ტაკამისაკარი დაანარცხა დოჰიოს, გაოძეკებაზე მოფიქრალმა სეკივაკემ კი ასევე სეკივაკე ამა გადაგდო ხაზს მიღმა.

დღეს ხაკუხო კომუსუბი ამინისკის ხვდება, კოტომიცუკი — ტაკამისაკარის.

**ოთარ ჩალაძელიძე**

ფრენბურთი

## მსოფლიო ლიგა. კაცები. ფინალური ეტაპი
## კატოვიცე. პოლონეთი. 11-15 ივლისი

| E ჯგუფი | F ჯგუფი |
|---|---|
| აშშ 3:0 საფრანგეთი | რუსეთი 3:0 ბულგარეთი |
| 25:21 25:20 28:26 | 25:23 25:21 25:21 |

# ძალაგამოცლილნი




AFP

**ბულგარელებმა**, რომლებმაც მსოფლიო ლიგას ფინალური ეტაპის პირველ დღეს სენსაციურად აჯობა ლიგის მოქმედ გამარჯვებულებს, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიელებს, თავიანთი წარმატების განვრცობა ვეღარ შეძლეს. როგორც ჩანს, ბულგარელებმა მთელი ენერგია ბრაზილიელებთან ხუთსეტიან მატჩს შეალიეს და მეორე დღეს რუსებს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს.

ამ გამარჯვებით რუსებმა გაინაღდეს ნახევარფინალში თამაშის უფლება და თანაც, ახლა ბულგარელთა ბედიც მათ ხელშია — ბრაზილიასაც თუ მოუგეს, ფავორიტ სამხრეთამერიკელებს ჯგუფში ჩატოვებენ და ნახევარფინალში ბულგარელები გავლენ, ბრაზილიელთა ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვების შემთხვევაში კი ჩემპიონები ბრძოლას გააგრძელებენ.

E ჯგუფში კი ნახევარფინალისტა ვინაობა უკვე გაირკვა. ბულგარელების არ იყოს, როგორც ჩანს, ფრანგებმაც მთელი ძალა პოლონელებთან დრამატულ, ხუთ პარტიაში წაგებულ თამაშს შეალიეს, ამერიკელებს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაზე ხელი აიღეს.

ნახევარფინალში მასპინძლები და ამერიკელები გავიდნენ და ურთიერთშეხვედრაში გაარკვევდნენ ჯგუფში საუკეთესოს ვინაობას.




ეროვნული ბიბლიოთეკა



კარლოს მოია

# ბასტა: ბასტადი ესპანურ არმადას ჩაბარდა

**კაცები**
გშტაადი. შვეიცარია. თიხნარი.
საპრიზო 421 250 €

**მეოთხედფინალი**

რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — მარკ ჟიკელი (6, საფრანგეთი) 6:3 6:3; მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) — ანდრეა სეპი (იტალია) 6:4 6:0; იგორ ანდრეევი (რუსეთი) — რიშარ გასკე (3, საფრანგეთი) 7:5 6:2

**კაცები**
ბასტადი. შვედეთი თიხნარი
საპრიზო 353 450

**მეოთხედფინალი**

ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) — ლუის პორნა (პერუ) 7:5 6:4; კარლოს მოია (4, ესპანეთი) — რობინ სოდერლინგი (6, შვედეთი) 6:2 6:4; დავიდ ფერერი (2, ესპანეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:1 6:0

**კაცები**
ნიუპორტი. აშშ. ბალახი.
საპრიზო 416 000 $

**მესამე წრე**

პარკას არმიტრაჟი (ინდოეთი) — სკოტ ჯენკინსი (აშშ) 6:4 6:3; ნიკოლა მაჰუ (5, საფრანგეთი) — ანტუან დიუპუი (საფრანგეთი) 6:3 6:7 6:1; მიხაილ ზვერევი (გერმანია) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 2:6 7:6 7:5; ფაბრის სანტორო (4, საფრანგეთი) — ფრენკ დანსევიჩი (კანადა) 6:7 6:3 6:4

**მოულოდნელობის გარეშე** ესპანური ნიშნით ჩაივლის შვედურ ბასტადში მიმდინარე ტურნირის გადამწყვეტი მატჩები. სკანდინავიაში უკვე სამმა პირინეელმა შეძლო ნახევარფინალში გასვლა.

მშვენივრად გამოიყურება ვეტერანი კარლოს მოია, რომელმაც უკვე მეორე მასპინძელი ჩამოიშორა გზიდან — ექსპირველმა ჩოგანმა ტომას იოჰანსონს რობინ სოდერლინგიც მიაყოლა. ვეტერანი ესპანელი თავის მე-20 საკარიერო ტიტულისკენ მიზანმიმართულად მიიწევს. ისე, მოიას ბასტადში თამაში კარგად აქვს დაცდილი — ამ პატარა შვედურ ქალაქს კარლოსი მეოთხედ ეწვია და აქედან სამჯერ მინიმუმ ნახევარფინალს უწია, 2002 წელს კი სულაც ჩემპიონი გახა. გუშინ კი სოდერლინგს ვეტერანი ესპანელი სულ რაღაც 69 წუთში გაუმკლავდა და ამით შვედებთან პირადი საკარიერო მაჩვენებლი ოდნავ გამოასწორა — მოიას 20 მოგების წილ 21 მარცხი აქვს.

ნახევარფინალში მოიას თანამემამულე ნიკოლას ალმაგროს წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. ეს ესპანელი, თავის მხრივ, ლუის ჰორნას გაუსწორდა. ალმაგროს პერუელის გასატეხად მოიაზე მეტი დრო დასჭირდა — პირინეელმა საათსა და 34 წუთში იხეირა. კიდევ ერთი ესპანელი, რომელმაც საუკეთესო ოთხეულში დაიბევა ადგილი, ტურნირის მეორე ნომერი დავიდ ფერერია. მან ყველაზე იოლად იმარჯვა, როცა ჟილ სიმონს მხოლოდ ერთი გეიმი აღებინა. ფერერი შემდეგ მატჩშიც უეჭველი ფავორიტი იქნება, რადგანაც ფილიპო ვოლანდრისა და ოლივიე როხუსის გამარჯვებულთან მოუწევს დაპირისპირება.

თუ ბასტადში ესპანელები ზეობენ, ამერიკულ ნიუპორტში ფრანგების დრო დამდგარა. გუშინ ოკეანისგაღმეთში ორმა გალმა, ვეტერანმა ფაბრის სანტორომ და ახლაგაზრდა ნიკოლა მაჰუმ იყოჩაღეს. განსაკუთრებით 34 წლის სანტოროს ჩაუქობა გამოვყოთ, რომელიც უმძიმეს ბრძოლაში გაუმკლავდა ძლიერი მოწოდების მქონე ფრენკ დანსევიჩს. ყველაზე პარადოქსული კი ისაა, რომ ფრანგმა ეს უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე შეძლო — სანტოროს ვერც ასაკმა შეაჩერა, ვერც სასაათო სარტყლების შეცვლის სირთულემ და ვერც აუტანელმა სიცხემ, რომელმაც ლამის ბოლო მოუღო კანადის ნომერ პირველ ჩოგანს. მეორე სეტის შუაწელზე დანსევიჩი კორტზე უკვე ძლივს დალასლასებდა მაშინ, როცა პროფესიულ ჩოგბურთში თავის მე-19 სეზონის მოთამაშე ფრანგმა სწორედ აქედან დაიწყო ჩვეული ჩახლართული კომბინაციების გათამაშება და ისედაც დასიცხულ კანადელს სულ მთლად დაახვია თავბრუ.

სამი სეტი დასჭირდა მაჰუსაც, რომელსაც თანამემამულე ანტუან დიუპუიმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა, მაგრამ მაჰუ წლეულს ბალახზე უჩვეულოდ ძლიერად გამოიყურება და გამარჯვება ახლაც მას დარჩა.

შვეიცარიულ გშტაადში კი ძალიან საინტერესო გამოდგა იგორ ანდრეევისა და რიშარ გასკეს ჯახი — ბევრის აზრით, ამ წყვილში სულაც ტურნირის მომავალი გამარჯვებულის ვინაობა უნდა გარკვეულიყო. მოულოდნელად, რუსმა საკმაოდ იოლად დასცა ახლახან გასრულებულ უიმბლდონზე მშვენივრად ნათამაშები ფრანგი და ნახევარფინალს უწია. გშტაადის შარშანდელმა ჩემპიონმა გასკემ მხოლოდ პირველ სეტში იომა მეტნაკლებად თანაბრად და ეგ იყო — ამ ბიჭმა მაღალ დონეზე სტაბილურად თამაში ვერაფრით ვერ დაიწყო.

**ბახა ლოგუაშვილი**

## ფედერაციის თასი. ნახევარფინალური მატჩები. 14-15 ივლისი

# უსერენო შტატებმა შამილს კარი გაუღეს

**ამ უქმეებზე** იტალიასა და აშშ-ში ფედერაციის თასის ნახევარფინალები გაიმართება. წესით, ორივეგან მაგარი თამაშები უნდა იყოს, რადგანაც რომელიმე წყვილში გამოკვეთილი ფავორიტის დასახელება ძნელი იქნება.

ამერიკულ სტოუში (ვერმონტის შტატი) გასამართი მატჩით დავიწყოთ, რომელიც განსაკუთრებული ინტერესს იწვევს. ჯერ ერთი, რომ ერთმანეთს აშშ და რუსეთი დაეტაკებიან, ამ ბობოლების ჯახში კი ყოველთვის დიდი ინტრიგაა. მაგრამ ამ კვირაში მომხდარმა ეს მატჩი ათმაგად მნიშვნელოვანი გახადა — ვგულისხმობთ ამერიკელთა საქციელს, რომელთაც მაქსიმალურად გააჭიანაურეს რუსთა კაპიტან შამილ ტარპიშჩევისთვის ვიზის გაცემა და ამით მატჩი ჩაშლის საფრთხის წინაშე დააყენეს, რადგანაც ტარპიშჩევი ერთი ხანობა ამბობდა, თამაში გადავდოთო. თუმც მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა და მერე თქვა, ბოლოს და ბოლოს, თუ არ შემიშვეს, ალექსანდრ ვოლკოვს ვანდობ ჩემს როლს და მე აქედან (ანუ მოსკოვიდან) ვუხელმძღვანელებ ნაკრებსო. თუმც აქამდე საქმე არ მისულა, რადგანაც აშშ-ს ხაელჩომ გუშინწინ გვიან ღამით ტარპიშჩევს მაინც აღირსა ვიზა და ისიც შაბათამდე ჩაუსწრებს თავის ნაკრებს.



ამერიკაში ჩასულ შამილ ტარპიშჩევს იქ მაში შარაპოვა არ დახვდებოდა

წმინდა საჩოგბურთო ამბებიდან კი ის არის გამოსაყოფი, რომ ორივე ნაკრებს სერიოზული დანაკლისი აქვს. ამერიკელებს ვერ დაეხმარება სერენა უილიამსი, რომელმაც, მოგეხსენებათ, უიმბლდონზე ფეხი სერიოზულად დაიზიანა და ექიმებმა დასვენება ურჩიეს. ამის გამო იანკთა კაპიტანი ზინა გარისონი იძულებული გახდა, უმცროსი შავდა მეილენ ტუთი ჩაენაცვლებინა. ეს გოგო ახლა ვინუს უილიამსს, ახალგაზრდა ვანია კინგსა და წყვილებში თამაშის სპეციალისტ ლიზა რეიმონდს შეუერთდება.

კიდევ უფრო სერიოზული დანაკლისი აქვთ რუსებს, რომლებსაც მსოფლიოს მეორე და მეოთხე ნომრები, შესაბამისად მარია შარაპოვა და სვეტლანა კუზნეცოვა ვერ დაეხმარებიან. რუსები განსაკუთრებით მაშას უარმა გაალიზიანა — შარაპოვა უკვე მერამდენედ ჰპირდება ტარპიშჩევს, ნაკრებში ვითამაშებო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, უარის მიზეზი თუ საბაბი არ ელევა. ამის მიუხედავად, სლავების შემადგენლობა მაინც ძალიან სოლიდურად გამოიყურება — ნადია პეტროვას, ანა ჩაკვეტაძეს, ელენა ვესნინასა და ალა კუდრიავცევას თავისუფლად ხელეწიფებათ მასპინძელთა გამწარება. ტარპიშჩევს განსაკუთრებით კუდრიავცევასი ეიმედება — ეს გოგო უიმბლდონზე ვინუსს მაგრად ეომა, კინაღამ გააგდო და ეგებ ვერმონტულ ბალახზეც ასევე წარმატებულად იჩოგნავოსო.

მეორე ნახევარფინალში კი, რომელიც იტალიურ კასტელანეტა მარინაში შედგება, მასპინძლები და მოქმედი ჩემპიონები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ჩასულ ფრანგებს დაუპირისპირდებიან. ერთი ეგაა, რომ ამ უკანასკნელებს უიმბლდონის სენსაციად ქცეული მარიონ ბარტოლი არ ეყოლებათ, რომლის ერთობ ექსცენტრულმა მამამ რაღაც ვერ გაიყო ფრანგული ჩოგბურთის მამებთან და შვილსაც ნაკრებში თამაში აუკრძალა. თუმც გალები მაინც კბილებს ილესავენ და აპენინელებს რევანშისტული განწყობით ეწვივნენ, რადგანაც იტალიელებმა შარშან თავიანთი წარმატებული სვლა სწორედ მათი გაცამტვერებით დაიწყეს. სისხლი განსაკუთრებით ამელი მორესმოს სწყურია, რომელიც ერთი წლის წინ ნამეტანი შერცხვა — აკი ფრანგების მარცხი სწორედ მას დააბრალეს.

**ბახა ლოგუაშვილი**

# ამერიკაში მილიონები გაამზადეს

**აშშ-ს ჩოგბურთის** ასოციაციის განცხადებით, დამდეგი აშშ-ს ღია პირველობის საპრიზო ფონდი სარეკორდო, 19,6 მილიონი დოლარი იქნება, რაც 1 მილიონით მეტია შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით. გარდა ამისა, Usa Open-ისწინა ამერიკულ ტურნირებზე ნაჩვენები შედეგებით საუკეთესო სამ-სამ ჩოგბურთელს ქალებსა და კაცებს შორის ბონუსის სახით 2,6 მილიონამდე მიეცემათ, რაც იმას ნიშნავს, რომ წლის ბოლო სლემტურნირის საპრიზო ფონდი დაახლოებით 22,2 მილიონს მიუკაკუნებს.

საპრიზოების გარდა იანკები ჩოგბურთელების კომფორტზეც ზრუნავენ და 7,5 მილიონის დახარჯვას აპირებენ გასახდელების და მომსახურების გასაუმჯობესებლად.

„თანამედროვე ჩოგბურთელებს სხვა ნებისმიერი სპორტის წარმომადგენლებთან შედარებით მეტი შრომა უწევთ, რის გამოც ისინი ყოველივე საუკეთესოს იმსახურებენ. ამ ფულის დახარჯვით გვინდა, მადლობა გამოვხატოთ იმ სიხარულისა და ემოციებისთვის, რაც მათ ჩვენი ტურნირისთვის მოაქვთ“ — განაცხადა აშშ-ს ჩოგბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა არლენ კარტერიანმა.

რაც შეეხება საპრიზოების განაწილებას — ტურნირის გამარჯვებულები 1,4 მილიონს მიიღებენ. არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ აშშ-ს ღია პირველობა პირველი სლემტურნირია, სადაც ქალებს კაცების ტოლ საპრიზოებს უხდიან — ეს ტრადიცია ამერიკაში უკვე 1973 წლიდან არსებობს.

დაბოლოს, ბონუსების სისტემაზეც გეტყვით — აშშ-ს ღია პირველობა ამერიკაში ივლის-აგვისტოში გასამართი ტურნირების დაგვირგვინება გახლავთ. ჰოდა, სლემტურნირის ბოლოს გამოავლენენ კაცებსა და ქალებს შორის სამ-სამ საუკეთესოს, რომლებმაც ამერიკულ ტურნირებზე სხვებზე უკეთ იქნიეს ჩოგნები და მათ ბონუსების სახით დამატებით თანხას გადასცემენ — საუკეთესოებს მილიონ დოლარს, მეორე ადგილოსნებს 500 ათასს, მესამე ადგილოსნებს კი 250 ათასს მისცემენ.

ასე რომ, აშშ-ს ღია პირველობის გამარჯვებულს ბონუსებიც თუ შეხვდა, ოკეანისგაღმეთიდან შეიძლება 2,4 მილიონით დაბრუნდეს.

**ბახა ლოგუაშვილი**

# მეორე წრე და მორჩა

**ქართველების** საჩოგბურთო კვირა ამ ჯერზეც ნაადრევად დასრულდა. ITF-ის ეგიდით მიმდინარე სხვადასხვა დონის ტურნირებზე ექვსი ჩვენებური თამაშობდა და მეორე წრეს ვერც ერთი მათგანი ვერ გაცდა.

ბოლოს ჩოგნები შალითაში ანა ტატიშვილმა და სალომე დევიძემ შეახვიეს, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოსტონის მაგარსაფარზე მიმდინარე 50-ათასიან შეჯიბრში მონაწილეობდნენ.

ანას მეორე წრეში 7:5 6:4 მოუგო 26 წლის სამხრეთაფრიკელმა ნატალი გრენდინიმ, ვისაც WTA-ს რეიტინგში 207-ე პოზიცია უჭირავს, ხოლო სალომე 4:6 1:4 აგებდა 21 წლისა და კლასიფიკაციაში 288-ე ადგილზე მყოფ ინდონეზიელ სანდი გულუმიასთან, როდესაც ტრავმის გამო თამაში შეწყვიტა.

## სამი ერი 2007

# ახლები, ძმები, კაპიტნები

## ქრისტეს ეკლესიაში სარაგბო ომი გაჩაღდება



14 ივლისი. კრაისტჩერჩი

**ახალი ზელანდია — სამხრეთ აფრიკა**

**ახალი ზელანდია:** მულიაინა, ჰაულეტი, ტოეავა, მაკალისტერი, სივივატუ; კარტერი, ველპუ; სოოიალო, მაკქოუ (კაპ), სორნი, რობინსონი, ჯეკი, ჰეიმანი, მეალამუ, ვუდკოკი
**სათადარიგოები:** ჰორი, ტიალატა, კოლინზი, მასო, ლეონარდი, სმიტი, ევანსი
**მწვრთნელი:** გრემ ჰენრი

**სამხრეთ აფრიკა:** პიტერსენი, პოლსი, მიურეი, ოლივერი, პრეტორიუსი; ჰაუახარდი, პინარი; კრონიე, ვანენბურგი, ფან ჰეერდენი, მულერი (კაპ), ფან დენ ბერგი, ი. დიუ პლესი, ბ. დიუ პლესი, ფან დერ ლინდე
**სათადარიგოები:** გ. ბოთა, ენდრიუსი, ბრიცი, ლობერტსი, კლაასენსი, გრანტი, ჩავჩავნგა
**მწვრთნელი:** ჯეკ ვაიტი

**დღეს** ახალ ზელანდიაში დიდი რაგბობაა, სამხრეთის კუნძულის უდიდესი და რაგბის უმდიდრესი ტრადიციებით ცნობილი ქალაქი კრაისტჩერჩი (ქართულ თარგმანში ქრისტეს ეკლესია) ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის" და სამხრეთ აფრიკის „სპრინგბოკების" სეზონში რიგით მეორე დაპირისპირებას მასპინძლობს.

ახალზელანდიელების რიგებში ფართომასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა მას მერე, რაც ავსტრალიამ ორი კვირის წინ მელბურნში მაორებს ცეცხლი ჩაუქრო და ერთიორად გააბრაზა ისინი. ძირითადში რიკო გირის მაგივრად ძველი გარებარბი და მელელოვე დაგ ჰაულეტი ითამაშებს. ხაზის მეორე ფრთაზე გირის ბედი გაიზიარა ჯო როკოკოკომაც, რომელსაც მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ სიტივენი სივივატუ ჩაანაცვლა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გუნდში დაბრუნდა მორკინალი კიტ რობინსონი, რომელმაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ცხრა ტესტი ითამაშა და საერთოდ, თავისი კარიერის განმავლობაში სამ ერზე პირველ (!) შეხვედრას ჩაატარებს. რობინსონმა ტრავმა 2006 წელს თვიქნემში ინგლისის წინააღმდეგ გამართულ ჯახში მიიღო, სადაც ზურგი დაიზიანა. იქამდე კი რამდენიმე სეზონი გაწყვეტილი მყესის გამო გამოტოვა და ბევრი თვლიდა, რომ მისი მაღალ დონეზე რაგბობა წარსულს ჩაბარდა. რობინსონის აზრით, მისი დაბრუნება პატარა სასწაულის და არაადამიანური შრომის დამსახურებაა. „შავები" თვლიან, რომ რობინსონის მარტო გუნდში ყოფნაც კი საბრძოლო ქინს ერთიორად გააძლიერებს.

ცვლილებებია „ქურციკებშიც". სამხრეთ აფრიკაში თითქმის ყველა ოჯახი ოცნებობს, რომ მისი შვილი პროფესიონალი მორაგბე და ნაკრების მოთამაშე გახდეს. სხვა თუ ერთი ნაშიერის წარმატებაზეც ყაბულს იქნებოდა, დიუ პლესების კლანის ამბიციები უფრო შორს წავიდა — ახალი ზელანდიის წინააღმდეგ „ქურციკების" ძირითად შემადგენლობაში, შერკინების პირველ ხაზში 2 და 3 ნომრად ძმები იან და ბისმარკ დიუ პლესები ითამაშებენ. აქამდე დედმამიშვილებს მთავარ ნაკრებში ერთად არასდროს უბურთავიათ. ისინი მხოლოდ წელს მოხვდნენ „ქურციკების" გაფართოებულ შემადგენლობაში.

სამხრეთ აფრიკა სხვა რგოლებშიც გადახალისებული და მთლიანობაში გვარიანად მოტივირებულია. ასე რომ, ახალზელანდიელებს ფოვორიტობის მიუხედავად გამარჯვება გარანტირებული არ აქვთ. თანაც ორი კვირის წინ მათი უძლეველობის მითი ავსტრალიამაც დაანგრია.

მასპინძელთა კაპიტანმა რიჩი მაკქოუმ ავსტრალიასთან დამარცხების პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო. მაკქოუს აზრით, გამოცდილი მორაგბეები უფრო მეტი მონდომებით უნდა მიუდგნენ საქმეს: „სამხრეთ აფრიკასთან ყველა ჩვენი მოთამაშე ბოლომდე დაიხარჯა და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ვაგებდით და მაინც მოვიგეთ. ხოლო მელბურნში აშკარად მოვადუნეთ ყურადღება. კი ვხედებოდით, რა უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ თითქოს საქმის ბოლომდე მიყვანა გვეზარებოდა. ბურთი ხაზზე ბევრი არ უნდა გვეთამაშებინა, რადგან საბოლოო ჯამში ამით დიდ მანძილს ვერ ვიგებდით. პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ, მაგრამ სხვა მოთამაშეებისთვისაც ეს მწარე და დასამახსოვრებელი გაკვეთილი უნდა იყოს."

ყველაფრის მიუხედავად, დღეს გუნდს რა თქმა უნდა ისევ რიჩი მაკქოუ უკაპიტნებს.

ცალკე სათქმელია სამხრეთ აფრიკის კაპიტნების ამბავი. „ქურციკები" თითქოს თავიდანვე დაინავსნენ, როდესაც შინ დურბანში ავსტალიასთან შეხვედრის პირველივე წუთებზე დაემტვრათ ბოლო ხუთი წლის უცვლელი ყოჩი ჯონ სმიტი. იგი ვიქტორ მეტფილდმა შეცვალა და სამი ერის მეორე მატჩშიც (შინ ახალ ზელანდიასთან) მან გაიყვანა გუნდი მოედანზე. მაგრამ იმ თამაშის ბოლოს ისიც დაიმტვრა და მესამე შეხვედრაში (ავსტრალიასთან გასვლაზე) „ბოკეს" ადრეც ნაკაპიტნარმა ბობ სკინსტადმა ულიდერა. მოდი და, ნუ გაგიკვირდება! შარშან საქართველოში „ბარბაროსების" კაპიტნის რანგში ჩამოსულმა „სკინმაც" ნეკნები იტკინა და „ქურციკების" დამრიგებელ ჯეკ ვაიტს მეოთხე თამაშისთვის მეოთხე კაპიტნის მოძიება მოუხდა.

ახალი ზელანდიის წინააღმდეგ დღეს აფრიკელებს იოჰან მულერი გაუძღვება. ოცდარვა წლის ახალგამომცხვარი ყოჩი იმედოვნებს, რომ წინამორბედთა ბედს არ გაიზიარებს და მთელი ნეკნებით და სხეულის სხვა ნაცილებით დაამთავრებს თამაშს.

„ორი წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ნაკრებში ითამაშებო, დავცინებდი, მაგრამ რომ ეთქვა, გუნდს ახალი ზელანდიის წინააღმდეგ გაუძღვებიო, შეშლილად ჩავთვლიდი და გულდაწყვეტილი გავერიდებოდი. არ მინდა, დრამატული მოგეჩვენოთ, მაგრამ როცა ჯეკ ვაიტი ჩემთან მოვიდა და ეს ამბავი მამცნო, საკუთარ ყურებს არ დავუჯერე. ვფიქრობ, ჩემი კაპიტნობა შემთხვევითობაა, რომ არა სკინსტადის ტრავმა, ეს დღე ჩემს ცხოვრებაში ალბათ არასდროს დადგებოდა. ჩემი სანუკვარი ოცნება ასრულდა, ნაკრებში ვთამაშობ და ბედის წყალობით, კაპიტანიც ვარ, რაც დიდ პატივთან ერთად უდიდეს პასუხისმგებლობასაც ნიშნავს. შევეცდები, ეს ტვირთი ბოლომდე ვაჟკაცურად ვატარო."

ჩვენ კი დასკვნის სახით მოგახსენებთ, რომ იოჰან მულერი რაგბის ისტორიაში ამ ერთ-ერთი უდიდესი ნაკრების რიგით 52-ე კაპიტანია 1891 წლის შემდეგ და აქვე „ქურციკთა" ბოლო 15 ყოჩის სიასაც გაახლებთ.

**ზურაბ მიგრიაული**

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 2 | 0 | 1 | +10 | 1 | 9 |
| ახ. ზელანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 5 |
| ს. აფრიკა | 3 | 1 | 0 | 2 | -10 | 1 | 5 |

**სამხრეთ აფრიკის ლეგენდარული კაპიტნები**



ნააზ ბოთა
28 თამაში, 9 კაპიტნობა



ფრანსუა პინარი
29 თამაში, 29 კაპიტნობა



ჯონ სმიტი
68 თამაში, 42 კაპიტნობა

## ლანძღვა კომპიუტერით, შერიგება წერილით



**საფრანგეთის** ნაკრების მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა ივნისში ახალ ზელანდიასთან 11:42 წაგებული ტესტის შემდეგ სასტუმროს ჰოლში საქვეყნოდ გალანძღა მატჩის არბიტრი, ავსტრალიელი სტიუარტ დიკენსონი. ინციდენტის დროს ლაპორტი დიკენსონთან ერთად პორტატულ კომპიუტერზე მატჩის ჩანაწერს შიფრავდა — მსაჯს უთითებდა და ემოციურად უხსნიდა, დარღვევებს ხედავდი და არ ამჩნევდიო. შემდეგ სხვა აუგ სიტყვებთან ერთად ისიც მიაძახა, მსოფლიოს თასზე საფრანგეთის თამაშებზე მსაჯად თუ დაგნიშნეს, მაშინ ჩვენ გამომსვლელები არ ვართ და ნურავის ეწყინებაო.

ახლა ლაპორტი აზრზე მოვიდა და დიკენსონს წერილი გაუგზავნა, სადაც დელიკატურად უბოდიშებს და შერიგებას სთხოვს. არბიტრს თავი დიდხანს აღარ დაუფასებია და მობოდიშება მიიღო. მათი მომდევნო შეხვედრა 7 სექტემბერს საფრანგეთ-არგენტინის მატჩზე შედგება, სადაც ისევ დიკენსონი იმსაჯებს.

**სამხრეთ აფრიკის ბოლო 15 კაპიტანი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 38 | დივან სერფონტეინი | 1984 | 2 |
| 39 | ნააზ ბოთა | 1986-92 | 9 |
| 40 | იანი ბრედტი | 1989 | 2 |
| 41 | ფრანსუა პინარი | 1993-96 | 29 |
| 42 | ტიაან სტრაუსი | 1994 | 1 |
| 43 | ადრიაან რიჩტერი | 1995 | 1 |
| 44 | გარი ტაიხმანი | 1996-99 | 36 |
| 45 | კორნე კრიხე | 1999-03 | 18 |
| 46 | რასი ერასმუსი | 1999 | 1 |
| 47 | იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი | 1999-03 | 10 |
| 48 | ანდრე ვოსი | 1999-01 | 16 |
| 49 | ბობი სკინსტადი | 2001-02 | 11 |
| 50 | ჯონ სმიტი | 2003-07 | 42 |
| 51 | ვიქტორ მეტფილდი | 2007 | 1 |
| 52 | იოჰან მულერი | 2007 | 1 |



იულია ფიშერი

# ბავშვები უძახე ოსტრავა ნიჭმა წალეკა

**ჩეხეთის** სამძლეოსნო ცენტრი ოსტრავა ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. ყველა იქაა, ვინც კი ჯერ 21 წლისა არაა და ვისაც ნამდვილ ელიტაში ფეხის მოკიდება სურს.

ტურნირი რამდენიმე დღეზეა განაწილებული. პირველი დღე, 11 ივლისი გერმანული გამოდგა. გერმანელმა მტყორცნელებმა სლავურ ფესვების მძლეოსნებს აჩვენეს, რომ სხვადასხვა საგნის შორს სროლაში მათ მონოპოლიას არ ურიგდებიან და კაცთა ბირთვში და ქალთა ბადროში ოქროები ცხვირწინ ააცალეს. კაცთა ბირთვის კვრა მოიგო დავიდ შტროლმა, რომელიც ახალგაზრდა ბირთვისმკვრელთა რეიტინგსიაში მხოლოდ მესამე იყო ხორვატი მარინ პრემერიეს და უკრაინელი ნიკიტა ნესტერენკოს შემდეგ. ორივე სლავს წლეულს 21 მეტრზე შორს უკვრია ბირთვი და მომავალი გამარჯვებულიც მათ შორის მოიაზრებოდა, მაგრამ მანამდე 20,77 პირადი რეკორდის მქონე შტროლმა ფინალში სასწაულები აკეთა — ექვსივე ცდაზე 20 მეტრს გადააცილა ბირთვი, საუკეთესო შედეგად კი 21,40 აჩვენა და ლამის მეტრით აჯობა მეორე ადგილზე გასულ პრემერიეს (20,42). რაც შეეხება ნესტერენკოს, მეტოქის კარგი გამოსვლის შემხედვარე აიჭრა თუ რა იყო, მან ერთხელაც ვერ გადააცილა ბირთვი 20 მეტრს, ექვსი ცდიდან სამი სულაც გაუცუდდა და ბოლოს სამარცხვინო მე-11 ადგილს დასჯერდა.

გერმანულ ყულაბას რამდენიმე წუთში მეორე ოქრო შეამატა ბადროს მტყორცნელმა ქალმა იულია ფიშერმა, რომელმაც ასევე გააოცა საზოგადოება. ეს ბუთხუზა გოგონა წინასწარ შედეგებში სამ მონაწინააღმდეგეს ჩამოუვარდებოდა და კვალიფიკაციაშიც წინ ორნი გაუშვა, მაგრამ ფინალში 51,39-მეტრიანი ნატყორცნით ფავორიტი სლავი თანატოლები უკან მოიტოვა.

ოთხშაბათსვე ოსტრავაში ერთი ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდი დამყარდა. ქალთა 3 კილომეტრი 5.55,62 შედეგით გაირბინა კენიელმა მერსი ჩერონომ, რაც მის ასაკში ვერც ერთ გოგონას ვერ მოეხერხებინა.

ერთშაბად ორი ახალგაზრდული მსოფლიო რეკორდი გამოცხვა ჩემპიონატის მეორე დღეს, ხუთშაბათს — ამერიკელმა თარჯმორბენალმა უეინ დევისმა 110 მეტრი 13,18 წამში გაირბინა და წინა ახალგაზრდულ რეკორდს 0,04 წამი მოაკლო. ეს შედეგი არათუ ახლად წვერშეღერილებში, არამედ დიდებშიც მშვენიერია და ამ ჯელის სახით თარჯრბენის ბარონებს — ჩინელ ლიუ სიანს, კუბელ დეირონ რობლესს და კიდევ რამდენიმე ფეხჯომარდ ამერიკელს სულ მალე სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდება.

მეორე რეკორდი სპორტულ სიარულში დაამყარა რუსმა ტატიანა კალმიკოვამ, რომელმაც 5 კილომეტრი 20 წუთსა და 28,05 წამში გაიარა.

კაცთა, ანუ ყმაწვილკაცთა 100 მეტრი სპრინტი 10,51 წამში მოიგო ამერიკელმა დექსტერ ლიმ, ქალებში კი 11,46 წამით იპირველა ბრიტანელმა აშა ფილიპმა.

**ძოტე ყორშია**

# ჩემპიონს მუხლმა უმუხთლა



საიდ საიფ შაჰინი (მარცხნივ) ოსაკაში ვერ ირბენს

**ოსაკას** მსოფლიოს ჩემპიონატს კიდევ ერთი დიდვარსკვლავი დააკლდება. ყატარში ნატურალიზირებული კენიელი სტიპლჩეიზისტი (3 კილომეტრზე წინაღობებით მორბენალი) საიფ სააედ შაჰინი 24 წლისაა და უკვე თითქმის ყველაფერი მოიგო — ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდის მპყრობელია, მაგრამ მას შანსი არ მიეცემა, მსოფლიოს ტიტულები გაასამოს, ყოველ შემთხვევაში, წლეულს, რაკილა მტკივანი მუხლი არ მიცემს წინა ორზე მიღწეულის გამეორების საშუალებას.

„ძალიან მწყდება გული, ოსაკაში რომ ვერ მივდივარ და ტიტულს ვერ დავიცავ, მაგრამ რა ვქნა, მუხლი უნდა დავასვენო და მომავალი წლისთვის ოლიმპიადაზე მონაწილეობას ხაზი არ გადავუსვა. ამერიკაში, იუჯინში „პრეფონტეინ კლასიკის“ წინ ვარჯიშზე ვიტკინე და იმ ტურნირში ველარ გამოვედი. მეგონა, მომირჩებოდა, მაგრამ..“

**ძოტე ყორშია**

# რუსული ჭოკისა და უროს ამბები...

**წლეულს** ყველა სამძლეოსნო გზა ოსაკასკენ მიდის. ყველა, მაგრამ არა ყველასთვის. თავისთავად ბევრი ვერ მოხვდება მსოფლიოს ჩემპიონატზე, მხოლოდ რჩეულები ღებულობენ იაპონიისკენ ბილეთებს და მომცრო ტურნირები, რომლებიც ამ კვირებში ტარდება, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის ლატარიასავით არის.

ტულაში ერთი ასეთი ტურნირი ჩატარდა, რომელსაც რუსეთის თასი ერქვა და იქ რამდენიმე ღირსაღსანიშნი შედეგი დაფიქსირდა. თავისთავად იქ არ იყვნენ რუსთა დიდვარსკვლავნი, მაგალითად, უროს მტყორცნელი ტატიანა ლისენკო, ანაც ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა. ასე რომ, სხვები მოექცნენ ყურადღების არეში. ლისენკოს არყოფნაში მეუროვე ქალებში გაილაღა გულფია ხანაფეევამ, რომელმაც ერთხელ ტატიანას ერთი კვირითაც კი ჩამოართვა მსოფლიო რეკორდი. ტულის „არსენალის“ კოხტა სტადიონზე ხანაფეევას მძლავრი მკლავებიდან გატყორცნილი ურო 75,39 მეტრზე დაეცა. ლისენკო რომ ყოფილიყო, ამას პირველობა არ შეხვდებოდა, ასე კი გულფიამ 26 სანტიმეტრით აჯობა ელენა კონევცოვას. ოსაკას საგზური კი ორივემ მოიპოვა.

ჭოკით მხტომელებში ისინბაევას მხარგვერდით სვეტლანა ფეოფანოვაც უკვე ოსაკაშია. ასე რომ, ტულაში სულ სხვამ იმარჯვა — იულია გოლუბჩიკოვამ ჭოკბჯენით 4,70 მეტრი დაძლია, რაც ნამდვილად რიგიანი შედეგია. კაცებში ვიქტორ ჩისტიაკოვმა იმარჯვა 5,65 შედეგით. ისიც წავა ოსაკაში.

ქალთა სიგრძეზე ხტომაში 6,83-მეტრიანი სკუპი გააკეთა ირინა სამაგინამ, რომელიც ისედაც ოსაკაში იყო წლეულს სოჭში გაკეთებული 7,11-მეტრიანი ნახტომის წყალობით.

# უპიტკამაკო ფინეთში ვირკალამ გაიმარჯვა

**ფინეთში**, შუბის ტყორცნის ტრადიციებით განთქმულ პიტიპუდასში ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია ფინელთა უძლიერეს შუბმტყორცნ ტერო პიტკამაკის, თუმც მის არყოფნას მაყურებელი იმთავითვე შეგუებული იყო, რაკილა ტეროს სახელი მსოფლიოს უცნობილეს არენებზე გვრგვინავს და ის ოსაკაში მთავარ ფავორიტადაც ჩაითვლება.

უმისობაში კი იმარჯვა 23 წლის ტეემუ ვირკალამ, ვინაც შუბი 83,24 მეტრზე გატყორცნა და ასე მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება.

**ძოტე ყორშია**

# იანგელისს მომავალი ელის



**ესპანეთის** მომცრო ქალაქ ალკალა დე ენარისში გამართულ ტურნირზე კარგი შედეგი აჩვენა სამხტომში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, კუბელმა იანგელის სავინემ. ეს გოგონა მხოლოდ 22 წლისაა და კოჭებზევე ეტყობა, შემდგომ წლებში ვარსკვლავად რომ იქცევა. ახლა მან 15,09-მეტრიანი ნახტომი შეასრულა და მხოლოდ 5 სანტიმეტრი დააკლდა სეზონის რეკორდამდე, რომელიც რუს ტატიანა ლებედევას ეკუთვნის.

იქვე ალკალაში კაცთა შორის სიმაღლეზე ხტომაში კიდევ ერთმა კუბელმა, ვიქტორ მოიამ 2,33-მეტრიანი თამასა დაძლია.

ველორბოლა

# 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი



ტომ ბოონენმა (მარჯვნიდან მეორე) წლევანდელ „ტურზე" პირველი გამარჯვება მოიპოვა

# ალპებთან პირველი ბოონენი მივიდა

94-Ე „ტურ დე ფრანსის" ქარავანმა იარა, იარა, ლონდონიდან დაიწყო, ბელგია გაიარა, მშობლიური საფრანგეთი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ბურგუნდიის გავლით გაჭრა და აჰა, ალპებსაც მიადგა.

დღეიდან „ტურზე" უმთავრესი ამბები იწყება. დღეს, ხვალ და სამშაბათს სამი ალპური ეტაპია, რასაც ხმელთაშუაზღვისპირეთში პატარა სულის მოთქმა და მერე, უკვე ინდივიდუალური რბოლა და პირინეის სამთო ეტაპები მოჰყვება.

გუშინ კი ალპებისწინა ბოლო ბარის ეტაპი იყო. ისევ ბურგუნდია და სემიურ ან ოქსუადან ბურჟ ან ბრესამდე გაჭიმული 200 კილომეტრი. ფათერაკიანი ხუთშაბათის შემდეგ ყურადღების ცენტრში „ასტანას" მრბოლელები იყვნენ. კერძოდ, ყაზახური ველოგუნდის ლიდერები — ალექსანდრ ვინოკუროვი და ანდრეას კლოდენი. ხუთშაბათს ორივენი დაეცნენ — ყაზახი უფრო მძიმედ, გერმანელი შედარებით მსუბუქად. შესაბამისად, კლოდენი არც ჩამორჩა მოწინავე ჯგუფს და გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე დარჩა, ხოლო „ვინომ" წუთი და 20 წამი წააგო და ლიდერთან, CSC-ის შვეიცარიელ ფაბიენ კანცელარასთან 2 წუთისა და 10 წამის ჩამორჩენით, საერთო ჩათვლაში 81-ე ადგილზე გადაინაცვლა.

გუშინდელ ბურგუნდიაში გუშინწინდელი აღარ განმეორდება. ამჯერად ეტაპმა ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა და სა-… ლო ჩათვლაში სურათი არ შეცვლილა. გენერალური კლასიფიკაციის ხუთი მოწინავის მდგომარეობას ცხრილში გაეცნობით და ალპების წინ სხვა ფავორიტები ასე არიან განლაგებულნი: 7. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, „კაისე დეპარგნი") +46 წმ... 12. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") +55 წმ... 14. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, „ასტანა") +55 წმ; 15. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") +56 წმ... 18. ოსკარ პერეირო საო (ესპანეთი, „კაისე დეპარგნი") +57 წმ... 22. ლევაი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი") +1 წთ; 23. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი") +1 წთ; 24. მარკუს ფოტენი (გერმანია, „გეროლშტაინერი") +1 წთ 03 წმ; 25. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარგნი") +1 წთ 03 წმ... 36. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG@R) +1 წთ 09 წმ... 47. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) +1 წთ 16 წმ; 48. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) +1 წთ 17 წმ... 81. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, „ასტანა") +2 წთ 10 წმ

გუშინ კი სპრინტერების დღე იყო და ბელგიელმა მსოფლიოს ექსჩემპიონმა ტომ ბოონენმაც აისრულა საწადელი — ბურჟ ან ბრესის ქუჩებში ყველას აჯობა და წლევანდელ ტურზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. ბოონენმა უკან სპრინტის სხვა დიდოსტატები მოიტოვა — მეორეზე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ესპანელი ოსკარ ფრეირე გავიდა, მესამე „ტურის" საუკეთესო სპრინტერის სარგო მწვანე მაისურას არაერთგზის მფლობელი გერმანელი ერიკ ცაბელი იყო, ხოლო ორი დღის წინანდელი ეტაპის ნორვეგიელი გამარჯვებული ტორ ჰუსჰოვდი მეხუთეზე გავიდა.

და, მთელ ამ სპრინტერულ კომპანიაში ვერმოხვედრილი ერთი კაციც უნდა ვახსენოთ — ტრეკის ბრიტანელმა ჩემპიონმა ბრედლი ვიგინსმა თავიდანვე რომ დაადო თავი, თითქმის მთელი ორასი კილომეტრი ეულად იარა და პელოტონმა მისი ჩაყლაპვა ფინიშამდე 6 კილომეტრით ადრე მოახერხა. ვიგინსს მხოლოდ საშუალედო ფინიშებისთვის განკუთვნილი ბონუსებიღა ერგო, მაგრამ მათვარი მან, მაინც დაამტკიცა და ყველას უჩვენა, რომ ტრეკზე გაზრდილს დიდ გზებზეც კარგად ეხერხება პედლების ტრიალი.

**გია მუჯირი**

**მე-6 ეტაპი. სემიურ ან ოქსუა — ბურჟ ან ბრესი. 200 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") | 5 სთ 20 წთ 59 წმ |
| 2. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") | |
| 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი") | |
| 4. სებასტიენ შავანელი (საფრანგეთი, „ფრანსაიზ დე ჟუ") | |
| 5. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი") | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ფაბიენ კანცელარა (შვეიცარია, CSC) | 29 სთ 49 წთ 55 წმ |
| 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა") | +33 წმ |
| 3. ფილიპო პოზატო (იტალია, „ლიქუიგასი") | +35 წმ |
| 4. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, „სონი დიუვალი") | +41წმ |
| 5. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") | +43წმ |

ჰოკეი

# ჩემპიონი სეზონს ლონდონში გახსნის

ნბა-ს გუნდებმა ბოლო წლებში ჩვეულებად აქციეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამხანაგური მატჩების გამართვა, მაგრამ ამაზე შორს ჯერ არ წასულან. აგერ ნჰლ-ი კი აშშ-კანადის ფარგლებს გარეთ აპირებს ოფიციალური, რეგულარული ჩემპიონატის მატჩის გამართვას. მოკლედ, ნჰლ-ის მორიგი, რიგით 90-ე სეზონი ლონდონში 29 სექტემბერს გაიხსნება — ინგლისის დედაქალაქში მოქმედი ჩემპიონი „ანაჰაიმი" „ლოს ანჯელესს" შეხვდება. იგივე გუნდები ლონდონში კიდევ ერთ მატჩს გამართავენ და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდებიან შტატებში.

„ანაჰაიმს" პირველი საშინაო შეხვედრა მხოლოდ 10 ოქტომბერს ელის, როცა „ბოსტონს" მიიღებს. შარშანდელი ფინალის რემატჩი „ოტავასთან" კი უკვე რეგულარული სეზონის მიწურულს, 3 მარტს გაიმართება — „იხვები" „სენატორებს" სახლში დაუხვდებიან.

აქვე მომავალი სეზონის ორი მნიშვნელოვანი მოვლენის თარიღსაც გაცნობებთ — ოლ-სტარი, ანუ ყველა ვარსკვლავთა მატჩი მომავალი წლის 27 იანვარს „ატლანტას" „ფილიპს არენაზე" გაიმართება, პლეი ოფი კი 9 აპრილს დაიწყება.

კრივი

# ვლადიმირ კლიჩკომ მოსკოვი იუარა

13 ოქტომბერს მოსკოვში კრივის საღამო ჩატარდება. წლევანდელი ჰოკეის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აშენებულ ახალ სპორტის სასახლეში პროფესიონალ მოკრივეთა რამდენიმე ჯახი გაიმართება, რომელიც მძიმეწონოსან ჩემპიონთა ქამრების გამერთიანებელი ბრძოლით დაგვირგვინდება. WBO-ს ვერსიით ჩემპიონი რუსი სულტან იბრაგიმოვი WBA-ს ვერსიის უზბეკ ჩემპიონ რუსლან ჩაგაევს დაეტაკება. რუსებს ახლა უკვე ორმაგად სწყდებათ გული იმაზე, რომ სამიოდ თვის წინ ჩაგაევმა ახმახი ნიკოლაი ვალუევის დამარცხება მოახერხა, თორემ თავისიანთა დერბის მომსწრენი იქნებოდნენ.

ამ შოუს ორგანიზატორებს, რომელთა შორის თვით ოსკარ დე ლა ჰოია და მისი კოპანია „გოლდენ ბოი პრომოუშენია", მოსკოვში ვლადიმირ კლიჩკოს მიწვევაც ძალიან უნდოდათ. მათი აზრით, უკრაინელს საღამოს მთავარი მოვლენის წინ უნდა ეჩხუბა გამახურებელ ბრძოლაში. მაგრამ ვლადიმირმა მოსკოვში ჩასვლაზე უარი განაცხადა, ბრძოლისთვის მომზადებას ვერ მოვასწრებო, რითაც რუსები მაგრად გაანაწყენა.

ისე კი საინტერესოა, რუსებს რა გაუკვირდათ? რატომ დათანხმდებოდა კლიჩკო, რომელსაც მძიმე წონაში საუკეთესო მოკრივეობაზე აქვს პრეტენზია, საკუთარი პერსონის მეორე პლანზე გადაწევას და თავისზე წინ იბრაგიმოვის დაყენებას? უკრაინელის უარის მიზეზი ალბათ სწორედ აქ იმალება.

**კახა ლოგუაშვილი**




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხულია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge